№ 98 ხუთშაბათი
10 დეკემბერი 2015 წელი
40 თ (გურიის გარეთ 1 ლარი)

# გურია NEWS

გაზეთი "გურია ნიუსი"
გამოდის კვირაში ორჯერ
www.gurianews.com

## სოციალურად დაუცველთა გასაჭირი და დაუსრულებელი დაპირებები

მარინე ჩიხლაძე
გურია ნიუსი

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანიეთში სამი უკიდურესად ხელმოკლე და სოციალურად დაუცველი ოჯახი ცხოვრობს _ სოსო და მარინა კაპანაძეები მრავალშვილიანი მშობლები არიან და სხვა მრავალ გასაჭირთან ერთად, უმთავრესი, რაც აწუხებთ, სახურავდაზიანებული სახლია, რომლის ნახევარ ნაწილში, წვიმის დროს, წყალი ჩამოდის.**

**ავთო და ხათუნა ცინარიძეები მცირეწლოვანი შვილებით ქოხში ცხოვრობენ, რომლის შეკეთებას დიდი ხანია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა ჰპირდება. თუმცა, დაპირება ჯერ არ შესრულებულა და ჩამონგრევის პირას მისული კედლები, ძნელი სათქმელია, გაუძლებს თუ არა მოახლოებულ ზამთარს.**

**პენსიონერი ცარო ტყეშელაშვილი მარტო ცხოვრობს ძველისძველ სახლში, რომელსაც ქარმა სახურავი მოჰგლიჯა, რის შესახებაც "გურია ნიუსი" კიდეც, თუმცა, აქამდე არანაირი დახმარება არ მიუღია.**

სოსო და მარინა კაპანაძეებს ხუთი მცირეწლოვანი შვილი ჰყავთ. მათ ეძლევათ შესაბამისი დახმარება, თუმცა, ეს ყველაფერი ბავშვების გამოსაკვებადაც ძლივს ჰყოფნით. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ, წინასაახალწლო თუ სხვა სადღესასწაულო დღეებში, კაპანაძეებს არაერთხელ გაუწია დახმარება საკვები პროდუქტით და საოჯახო ნივთებით, თუმცა, მათი ძირითადი პრობლემა სახლის დაზიანებული სახურავია.

▶ა-5



ცარო ტყეშელაშვილი საკუთარ სახლთან | ფოტო: მარინე ჩიხლაძე

## სამუშაოები მოსახლეობის უკმაყოფილების ფონზე

სოფო წილოსანი
სურათით

**ქალაქ ლანჩხუთში, სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოების ფარგლებში, აღმაშენებლის პირველ ჩიხში სანიაღვრე არხის მოწყობა და საერთო საცხოვრებლის მიმდებარე ტერიტორიის მოხრეშვა იგეგმება. საამისოდ 14 307 ლარია დასახარჯი იმ 350 ათასი ლარიდან, რომელიც ინფრასტრუქტურის სამინისტროსგან მუნიციპალიტეტმა 11 ნოემბერს მომხდარი სტიქიის სალიკვიდაციოდ მიიღო.**

**თუმცა, გასახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით უკმაყოფილება გამოთქვამენ აღმაშენებლის პირველი ჩიხის მაცხოვრებლები, რომლებმაც გვთხოვეს, საკითხის მათთვის სასიკეთოდ გადაჭრაში დავხმარებოდით. მათი თქმით, მას შემდეგ, რაც ადგილზე ტექნიკა შემოვიდა, ქუჩაზე მდგომარეობა უფრო გაუარესდა და გავლა შეუძლებელი გახდა.**



მოსახლეობა "გურია ნიუსს" მას შემდეგ დაუკავშირდა, რაც ადგილზე მუნიციპალიტეტის გამგებელმა ზაზა ურუშაძემ ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსთან, ლევან ჩხაიძესთან ერთად სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები მოინახულა.

*"ჩვენი მოთხოვნაა, გზა გაგვიკეთონ ნორმალურად. გვაინტერესებს, რა კრიტერიუმით შეარჩიეს სხვა ქუჩები, სადაც ასფალტიც დააგეს და სანიაღვრე არხებიც გაიყვანეს? ჩვენ ხალხი არ ვართ? არავინ გვაქცევს ყურადღებას. ეზოში ვერ შევდივართ, ისეთი მდგომარეობაა. თუკი ნორმალურად არ აკეთებენ, მაშინ საერთოდ დაანებონ თავი და დატოვონ ისე, როგორც არის. მოიტანეს ძველი, დაჟანგული მილები და ის უნდა ჩააწყონ. შეიძლება ამ გზაზე საერთოდ გავლა?! თუკი ხვდებიან, რომ გასაკეთებელია, წესიერად გაგვიკეთონ, რად გვინდა ეზოების წინ ამხელა ორმოებს რომ გვითხრიან და ჟანგიან მილებს ყრიან?! გააკეთონ, როგორც წესია, კაპიტალურად, ბეტონის სანიაღვრე არხი და მოხრეშონ მთლიანად გზა. არავითარ შემთხვევაში არ მივცემთ უფლებას, ჩვენი ჭიშკრის წინ ჟანგიანი მილები ჩაყარონ.*

*როგორც გავიგეთ, სტიქიის სალიკვიდაციო თანხით აკეთებენ ამ არხს, თუმცა, არ ვიცით, როდის დაატყდა თავს ჩვენს ქუჩას ეს სტიქია. ალბათ, რომ გვეძინა მაშინ და ვერ გავიგეთ! სიმართლე თუ გინდათ, სტიქია ახლაა ჩვენს ქუჩაზე _ ვერ გაივლი ადამიანი.*

*მოკლედ, ჩვენი მოთხოვნაა წესიერი სანიაღვრე არხები გაგვიკეთონ და მოხრეშონ. გამგებელი როცა იყო მოსული, გავაცანით ჩვენი პოზიცია და პასუხად მივიღეთ, რომ ამ ეტაპზე მეტის გაკეთება ვერ მოხერხდებოდა, ახლა ეს თანხაა ასათვისებელი, გაისად გაკეთდება დანარჩენიო"*, _ ამბობენ აღმაშენებლის ჩიხის მაცხოვრებლები, რომლებიც სიტუაციაში უკეთ გასარკვევად ადგილზე გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის, ლევან ჩხაიძის მოსვლას ითხოვდნენ.

თუმცა, ჩხაიძის მოსვლამდე ადგილზე **სამუშაოების მწარმოებელი გიორგი ჯიბლაძე** გამოცხადდა, რომლისთვისაც, გარკვეულწილად, ბუნდოვანი იყო მოსახლეობის ეს პოზიცია: *"თუ რამე სათქმელი გქონდათ, ეს გამგებლისთვის უნდა გეთქვათ, როცა აქ იყო მოსული და შეხვდით. მე რა შუაში ვარ?! პროექტის მიხედვით, სანიაღვრე არხები უნდა ამოვიღო და შიგ რკინის მილები ჩავაწყო. გზის მთლიანი მოხრეშვა ნამდვილად არ იგეგმება. ხომ დაგპირდათ გამგებელი, რომ მომავალი წლისთვის მოეწყობოდა ბეტონის სანიაღვრე არხები და გზაც მოიხრეშებოდა?!"* _ თქვა ჯიბლაძემ.

მოსახლეობის თქმით, მათ არა დაპირება, არამედ კონკრეტული საქმე სჭირდებათ: *"ასე ბევრჯერ დაგვპირდნენ, მაგრამ ტყუილი აღმოჩნდა. ამ დაპირების მიხედვით, წელს ეს ქუჩა სრულად უნდა გაკეთებულიყო, თუმცა, რას და როგორ აკეთებენ, ვხედავთ. თუკი მომავალ წელს მართლაც იგეგმება ამ ქუჩის სრული რეაბილიტაცია, მაშინ ახლა რატომღა ხარჯავენ ტყუილად ფულს? დატოვონ ისე, როგორც არის და მომავალ წელს გააკეთონ, როგორც საჭიროა. გაკეთების ნაცვლად უფრო გააფუჭეს ქუჩაზე გზა"*, _ ამბობს მოსახლეობა.

▶ა-2

## მთავარი თემა

### რელიგიური სიწმინდეებისა და ღვთისმსახურის შეურაცხყოფისთვის, შესაძლოა, ჯარიმა დაწესდეს

*(გურია ნიუსი, თბილისი)* _ რელიგიური სიწმინდეებისა და ღვთისმსახურის შეურაცხყოფისთვის, შესაძლოა, ფულადი ჯარიმები დაწესდეს. საქმე "ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" დაგეგმილ ცვლილებებს ეხება, რომლის ინიციატორი დეპუტატი სოსო ჯაჭვლიანია, პროექტის ავტორი კი "დემოგრაფიული განვითარების ფონდის" დირექტორი ზვიად ტომარაძეა.

საკანონმდებლო ინიციატივა პარლამენტის ბიუროს სხდომაზე დარეგისტრირდა.

ცვლილებების მიხედვით, "ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს" ახალი მუხლი ემატება, რომლის გათვალისწინებით, რელიგიური სიწმინდეების, რელიგიური ორგანიზაციის, ღვთისმსახურის და მორწმუნის მიმართ სიძულვილის საჯაროდ გამოხატვა ან ისეთი მასალის გამოქვეყნება, ჩვენება, რაც მიზნად ისახავს მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფას, გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს დაჯარიმებას 600 ლარის ოდენობით.

ამავე პროექტით, რელიგიური შენობების და სხვა რელიგიური სიწმინდეების წაბილწვა, მასზე ნებისმიერი წარწერის გაკეთება ან დაზიანება, გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

"კანონპროექტის მიღების მიზეზია, ბოლო პერიოდში გახშირებული მოქალაქეთა რელიგიური გრძნობების, არსებული რელიგიების და სასულიერო პირების შეურაცხყოფა", _ აღნიშნულია პროექტის განმარტებით ბარათში.

პარლამენტარი სოსო ჯაჭვლიანი მიიჩნევს რომ მის მიერ ინიცირებულ კანონპროექტს საკანონმდებლო ორგანო უმრავლესობით დაუჭერს მხარს. მისი სიტყვებით, ეს კანონი კიდევ უფრო დააახლოებს საქართველოს ევროპასთან, რადგან ევროპის ბევრ ქვეყანაში მოქმედებს მსგავსი კანონები.

მისამართი: ჩოხატაური _
ნოდარ დუმბაძის ქ. #25,
☎ 22010, (599)207470
ოზურგეთი _
ჭავჭავაძის გამზირი, #4,
მე-3 სადარბაზო,
I სართული, ბინა32
ლანჩხუთი _
ნოე ჟორდანიას ქ. #114/3
თბილისი _ ☎ (832)102001
Email: guria@gurianews.com

გამოქვეყნებული მასალების
შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს
რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თავად აგებენ პასუხს
ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიო მასალები
ინახება ორი კვირის განმავლობაში;
ამ ვადის გასვლის შემდეგ
პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისგან არ მიიღებს
სამ ხელნაწერ გვერდზე
ვრცელ მასალას და
შეუკვეთავ წერილებში
ჰონორარს არ გასცემს.

გამოქვეყნებული მასალების
გადაბეჭდვა რედაქციის
ნებართვის გარეშე
აკრძალულია!

გამომცემელი ია მამალაძე
Email: ia@gurianews.com
მთავარი რედაქტორი
გიორგი სიხარულიძე
Email: gia@gurianews.com
ოფისის მენეჯერი
ვარდო ანდღულაძე
☎571903990
სარეკლამო სამსახურის უფროსი
დაკა ბერძენიშვილი
☎577725854
სტილი და კორექტურა
ნინო ბერძენიშვილი
☎551181096
ფინანსური მენეჯერი
თამარ მეფარიშვილი
☎599217485
კომპიუტერული უზრუნველყოფა
დავით ჩხიკვაძე
☎571903989

**განცხადებების ფასები**

ნებისმიერი სახის განცხადება:
სიტყვა _ 30 თეთრი;

სურათიანი განცხადება _
დამატებით ორი ლარი

სამგლოვიარო განცხადებების
განთავსების მიზნით ფართის
შეძენისას,
ღირებულება იანგარიშება
შესაბამისი გვერდის ფასის _
400 ლარის მიხედვით.

**რეკლამის ფასები**

არაპოლიტიკური რეკლამა:
1 კვადრატული სანტიმეტრის ფასი
(მთლიანი გვერდის ზომაა
1000 კვადრატული სანტიმეტრი)

პირველ გვერდზე (ფერადი): _
1.75 ლარი;
მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეცხრე:
_ 0.4 ლარი;
ბოლო გვერდზე (ფერადი) _
0.70 ლარი;
დანარჩენ გვერდებზე _ 0.28 ლარი.

შავ-თეთრი გვერდის ფერადად
დაბეჭდვა _ დამატებით 200 ლარი.

პოლიტიკური რეკლამის
ღირებულება ორმაგია.

*გაზეთი დაბეჭდილია
შპს "ასავალ-დასავალის სტამბა"-ში.
მისამართი: ქ. თბილისი, აგლაძის ქ. 39,
ტელ: 2343330.
ელ-ფოსტა: print@asavali.ge*

## თეატრში პრემიერა იგეგმება

***(გურია ნიუსი, ოზურგეთი)*** _ 8 დეკემბერს, ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის დრამატულ თეატრში პრესკონფერენცია გაიმართა.

**თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, ვასილ ჩიგოგიძის** განცხადებით, ამ წლის ბოლოს იგეგმება გურამ დოჩანაშვილის ნაწარმოების _ "კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა", _ მიხედვით შექმნილი სპექტაკლის პრემიერა.

უკვე ცნობილია, რომ პრემიერაზე ვასილ კეჟერაძეს ცნობილი მსახიობი ზურაბ ცინცქილაძე განასახიერებს.

**ზურაბ ცინცქილაძის** თქმით, გურამ დოჩანაშვილთან დიდი ხნის ურთიერთობა აქვს:

*"სამსახიობო საქმიანობის დასაწყისში შევხვდი დოჩანაშვილს მეტეხის ახალგაზრდულ თეატრში. 23 წლის ასაკში ვითამაშე ვასილ კეჟერაძე. მეყო სითავხედე სწორედ იმ დროს მეთამაშა ვასილ კეჟერაძე, როდესაც მას ტელესპექტაკლში ეროსი მანჯგალაძე ასახიერებდა",* _ თქვა ცინცქილაძემ.

პრესკონფერენციაზე **თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ვასილ ჩიგოგიძემ** აღნიშნა, რომ ვასილ კეჟერაძეს, ასევე, განასახიერებს ოზურგეთის *თეატრის მსახიობი ზვიად ჯორბენაძე.*

*"ალბათ, გაგიჩნდებათ კითხვა _ ორი ადამიანი როგორ განასახიერებს ერთ პერსონაჟს? როდესაც ზვიადი არ იქნება, ამ როლს ბატონი ზურაბი ითამაშებს. მსახიობები როლს შენაცვლებით ითამაშებენ",* _ აღნიშნა ჩიგოგიძემ.

ზურაბ ცინცქილაძემ მედიის წარმომადგენლებს აცნობა, რომ სულ მალე გამოვა გურამ დოჩანაშვილის წიგნი "ბრმათა ყოფილი".

წიგნთან ერთად ასევე გამოვა ნაწარმოების ხმოვანი დისკი, რომელსაც ზურაბ ცინცქილაძე კითხულობს.

*"პირველად ვამბობ _ ბატონი გურამისთვის საქართველოს კათალიკოს პატრიარქს ილია მეორეს უთქვამს, რომ წიგნს ზურაბ ცინცქილაძეზე უკეთესად ვერავინ გაახმოვანებს, რაც ჩემთვის ძალიან საპასუხისმგებლო საქმე აღმოჩნდა",* _ აღნიშნა ცინცქილაძემ.

სპექტაკლი, რომელიც თვის ბოლოს გაიმართება, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს მიერ არის დაფინანსებული.



**გურამ დოჩანაშვილი და ზურაბ ცინცქილაძე**

## დუმბაძის სახელობის ფესტივალი

***(გურია ნიუსი, ოზურგეთი)* _ ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, ვასილ ჩიგოგიძის** ინფორმაციით, 2016 წელს ქალაქ ოზურგეთში ნოდარ დუმბაძის სახელობის თეატრალური ფესტივალი გაიმართება:

*"ამ ფესტივალის შესახებ დაწვრილებით მოგვიანებით გავაკეთებთ პრესკონფერენციას. მანამდე შემიძლია გითხრათ, რომ ფესტივალი აუცილებლად ჩატარდება",* _ გვითხრა ვასილ ჩიგოგიძემ.

მისივე თქმით, ფესტივალი სპექტაკლ "ბოშებით" გაიხსნება, რომლის რეჟისორი გიზო ჟორდანიაა, ხოლო დახურვის დღეს წარმოდგენილი იქნება სპექტაკლი _ "გამარჯობა, ხალხო!", რომელშიც ოზურგეთელ მსახიობებთან ერთად ლიტვიდან ჩამოსული მსახიობებიც მიიღებენ მონაწილეობას.

## არასრულწლოვანი დაჭრეს

***(გურია ნიუსი, ოზურგეთი)*** _ "გურია ნიუსის" მიერ მოპოვებული ინფორმაციით, ქალაქ ოზურგეთის #2 საჯარო სკოლასთან ერთ-ერთი სკოლის მოსწავლე დაჭრეს.

**"მედალფას" ოზურგეთის სამედიცინო ცენტრის დირექტორმა დავით მდინარაძემ** სატელეფონო საუბრის დროს გვითხრა, რომ 15 წლის მოზარდს ცივი იარაღით დაზიანებული ჰქონდა მარცხენა ფილტვი.

*"პაციენტს დაზიანებული ჰქონდა ფილტვი, სასწრაფოდ ჩატარდა ოპერაცია. ამ წუთებში პაციენტი თავს კარგად გრძნობს,* _ გვითხრა დავით მდინარაძემ.

გავრცელებული ინფორმაციით, დაჭრილი მოზარდი მეორე საჯარო სკოლის მოსწავლეა და ინციდენტი შელაპარაკების ნიადაგზე მოხდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო მოზარდის დაჭრის ფაქტი დაადასტურა:

_ *მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები,* _ გვითხრეს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში.

## სილამაზის სალონი დაიწვა

***(გურია ნიუსი, ოზურგეთი)*** _ ქალაქ ოზურგეთში, "ბილაინის" ოფისთან ახლოს, სილამაზის სალონი და სოლარიუმი "საოცრება" დაიწვა.



"გურია ნიუსი" შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა, მაგრამ ჩვენთან საუბარი სალონის და სოლარიუმის მეპატრონეებმა არ ისურვეს:

_ *ვერაფერს გეტყვით, არაფრის თქმა არ შეგვიძლია,* _ გვითხრეს სალონში.

ჩვენი ინფორმაციით, სალონში და სოლარიუმში ხანძარი გაუმართავმა ელექტროგაყვანილობამ გამოიწვია.

## სამუშაოები უკმაყოფილების ფონზე

ა-1▶

მოსახლეობა გამგეობის წარმომადგენლის მოსვლას ითხოვდა, საქმის მწარმოებლებს კი არ აძლევდა საშუალებას, პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები დაეწყოთ.

გარკვეულხნიანი ლოდინის შემდეგ მოსახლეობასთან შესახვედრად **ლევან ჩხაიძე** მარტო გამოცხადდა. მან მოსახლეობას არსებული მდგომარეობა გააცნო და შესაძლებლობის დონეზე პირობა დადო, რომ სამომავლოდ მოსახლეობის მიერ დაყენებული მოთხოვნა სასიკეთოდ გადაწყდებოდა:

*"იმ თანხით, რომელიც ამ ეტაპზე გაგვაჩნია, იმაზე მეტის გაკეთება, რაც იგეგმება, შეუძლებელია. გაწვიმებისას აქ ისეთი მდგომარეობაა, რომ გავლა შეუძლებელია. როცა სტიქია იყო, შევამოწმეთ ქუჩები და აქ საკმაოდ გაუსაძლისი მდგომარეობა დაგვხვდა, კაცს რომ რამე გაგჭირვებოდა, სასწრაფო სამედიცინო დახმარება ვერ შეძლებდა მოსვლას. ჩვენი უპირველესი ამოცანაა წყალი, რომელიც გზაზე და მოსახლეობის ეზოებში დგება, დაიწრიტოს. გადაჭრით ნამდვილად არ შემიძლია იმის თქმა, რომ მომავალ წელს აქ ბეტონის სანიაღვრე არხები გაკეთდება და გზა მოიხრეშება, თუმცა, ეს ქუჩა ერთ-ერთი პრიორიტეტულია და პირობას გაძლევთ, რომ ყველანაირად ვეცდებით, 2016 წელს ქუჩის სრული რეაბილიტაცია მოხდეს",* _ თქვა ჩხაიძემ.

მიუხედავად იმისა, რომ შეკრებილ მოსახლეობას ლევან ჩხაიძემ გარანტია ვერ მისცა, რომ ამ ქუჩის სრული რეაბილიტაცია მომავალ წელს აუცილებლად გახორციელდებოდა, მან მაინც მოახერხა მათი დარწმუნება სამუშაოების გაგრძელებაზე.

არის ალბათობა იმისა, რომ პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების შემდეგ მოსახლეობა მაინც უკმაყოფილო დარჩეს. მით უმეტეს, რომ აღმაშენებლის პირველი შესახვევის მცხოვრებლები, ქუჩის ბოლომდე გაკეთებას ითხოვენ და ეტაპობრივ წინსვლას, უმნიშვნელო საქმედ მიიჩნევენ.

# სამახსოვრო ჩინოვნიკებისთვის

## საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

## თავიIII. ინფორმაციის თავისუფლება

## მუხლი 28. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

საჯარო ინფორმაცია ღიაა გარდა საკანონმდებლო აქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ანდა, როდესაც ღიაობა აშკარად და გარდაუვლად არსებით ზიანს მიაყენებს:

ა) ეროვნულ უსაფრთხოებას, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მისი გამხელა დაემუქრება დაგეგმილი ან განხორციელების პროცესში მყოფი სამხედრო, სადაზვერვო ან დიპლომატიურ ქმედებათა განხორციელებას და მათ მონაწილეთა ფიზიკურ უსაფრთხოებას;

ბ) სისხლის სამართლის დანაშაულის გამოძიებას, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მისი გამხელა საფრთხეს შეუქმნის სამართალდამცავი ან სადაზვერვო სამსახურების კონფიდენციალური წყაროების იდენტიფიცირებას, ხელს შეუშლის დანაშაულის თავიდან აცილებას, გამოვლენას, აღკვეთასა და დამნაშავის პასუხისგებაში მიცემას, საფრთხეს შეუქმნის ნებისმიერი პირის სიცოცხლესა და ფიზიკურ უსაფრთხოებას ან შელახავს ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის უფლებას გამოძიების საიდუმლოებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გამოტანილია დადგენილება ამ ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ძებნის შესახებ.

**მუხლი 36. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა**

საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაადგინოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოხელე.

**მუხლი 37. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა**

ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა.

**მუხლი 38. საჯარო ინფორმაციის ასლის ხელმისაწვდომობა**

საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ასლების ხელმისაწვდომობა.

**მუხლი 40. გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ**

1. საჯარო დაწესებულება ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ დაუყოვნებლივ.

2. საჯარო დაწესებულება ვალდებულია აცნობოს განმცხადებელს მიღებული გადაწყვეტილების, მისი საფუძვლის და შესაბამისი ნორმატიული აქტის შესახებ.

მუხლი 41. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის შემთხვევაში, საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების პროცედურა, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას.

## "გურია ნიუსის" ჟურნალისტთა ეთიკური კოდექსი

❖ ჟურნალისტი ვალდებულია თქვას სიმართლე, გადაამოწმოს მიღებული ინფორმაცია და დააზუსტოს ყველა მხარის ინტერესები, არ შელახოს პიროვნების უფლებები, უდანაშაულობის პრეზუმპცია და დაიცვას ინფორმაციის წყაროს პირადულობა.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია პირველ რიგში დაიცვას მოქალაქეთა უფლებები და საზოგადოების ინტერესები, არ დაუშვას დისკრიმინაცია ნებისმიერ საფუძველზე.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია თავისი ცხოვრების წესისგან გამომდინარე, შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა მათგან, ვისზეც ის წერს.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია ასრულებდეს ნებისმიერ ძალაუფლებაზე დამოუკიდებელ მონიტორინგს სამოქალაქო ჟურნალისტიკის პრინციპების სასარგებლოდ.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია არ გააზვიადოს მოვლენები, შეინარჩუნოს სიმშვიდე, მზად იყოს უარის ან შეურაცხყოფისთვისაც კი.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია არ იყოს არც ერთი პოლიტიკური პარტიის ან პოლიტიკური ორგანიზაციის წევრი, არ დაუშვას შეფარული ან პირდაპირი რეკლამა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის საფუძველზე არ დაუშვას კერძო ან ეკონომიკური ხასიათის გავლენა მასზე.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია განსაკუთრებით დაიცვას ბავშვთა უფლებები, ხელშეუხებლად მიიჩნიოს მისი პიროვნების საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბების პროცესი.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია ფართოდ ითანამშრომლოს კოლეგებთან, შექმნას კომპრომისული და მიმტევებლობის ატმოსფერო.

❖ ჟურნალისტი ვალდებულია სიტყვით, საქმით და სამოქალაქო პასუხისმგებლობით დაიცვას ჩვენი გაზეთის ინტერესები და ეს ეთიკური კოდექსი გაზეთის პოპულარობისა და პრესტიჟის გასაზრდელად.

# "ჩემს მტერს, ისეთი ობიექტი იხსნება!"

გიორგი გირკელიძე
გურია ნიუსი

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის პირდაპირი ტრანსლაცია მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე მიმდინარეობდა. სწორედ ტრანსლაციის დროს ადგილობრივი ხელისუფლების მისამართით რამდენიმე სოფლიდან კითხვები მოვიდა.**


**საკრებულოს სხდომაზე** | ფოტო: გიორგი გირკელიძე

*_ რაც უფრო მეტი კითხვა იქნება დასმული, უფრო მეტად იქნება ჩვენი ამომრჩეველი ინფორმირებული. იაქტიურეთ და ჩვენ, შეძლებისდაგვარად, გაგცემთ პასუხს,* _ აღნიშნა შეხვედრის დროს **ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩიამ.**

"გურია ნიუსი" უცვლელად გთავაზობთ იმ კითხვებს, რომელიც ონლაინ-რეჟიმში გამოაგზავნა მოსახლეობამ:

*"ლიხაურის კულტურის სახლს ესაჭიროება სახურავის შეცვლა. შენობაში ჩამოდის წყალი. გთხოვთ, გაითვალისწინოთ ბიუჯეტში. ამავე შენობის დარბაზს, სადაც ყოველწლიურად იმართება სკოლის კურსდამთავრებულების ღონისძიება, ესაჭიროება შიდა რემონტი".*

*"თუ შეიძლება სოფელ ოზურგეთში სანაგვე ურნები რომ დადგათ თითოეული ქუჩის დასაწყისში".*

*"ლაითურის პირველ საბავშვო ბაღს, სადაც დადის შშმ აღსაზრდელი, არ აქვს პანდუსი, საჭირო ინვენტარი და გთხოვთ, გაითვალისწინოთ".*

*"არის თუ არა შეტანილი საპრივატიზაციო ნუსხაში ლაითურის ყოფილი აგრო-ეკონომიკური კოლეჯის შენობა?"*

*"ნარუჯის მოსახლეობას აინტერესებს, ცენტრში არსებული კლუბის დემონტაჟის შემდეგ, რისი მშენებლობა იგეგმება. ჩვენთვის სასურველია, მოეწყოს კულტურისა და დასვენების ცენტრი".*

*"ნარუჯაში როდის იგეგმება ოზურგეთი-ნარუჯა-ლაითურის გზის რეაბილიტაცია?"*

ონლაინ-რეჟიმში მოსახლეობის მიერ დასმულ კითხვებს პასუხები ნაწილობრივ გაეცა.

*"ყველა კითხვას აუცილებლად გაეცემა პასუხი. ამ კითხვებს შესაბამისი სამსახურები უპასუხებენ.*

*ლაითურში ბევრი რამ კეთდება _ გზა იქნება, მისი გაკეთება მომავალი წლიდან დაიწყება, რადგან იქ ისეთი ობიექტი იხსნება, გზა აუცილებელია. საუბარი მაქვს საპატიმროს მშენებლობაზე",* _ თქვა საკრებულოს თავმჯდომარემ.

*"ჩემს მტერს, ისეთი ობიექტი იხსნება!"* _ კომენტარი გააკეთა **დეპუტატმა ხვიჩა წულაძემ.**

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის პრესსამსახურის** მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურში კულტურის სახლის სახურავის შეკეთება უკვე მიმდინარეობს.

2016 წლის ბიუჯეტში ლიხაურის ადმინისტრაციულ ერთეულში დაგეგმილია სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია. პროექტის ღირებულება შეადგენს 183 000 ლარს. გამომდინარე აქედან, 2016 წლის ბიუჯეტში შეტანილი არ არის ლიხაურის კულტურის სახლის დარბაზის შიდა რემონტი, მაგრამ, სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობას შეუძლია, 2016 წელს აღნიშნული საკითხი ერთ-ერთ პრიორიტეტად დაასახელოს:

*"მიმდინარე წელს სანაგვე ურნების დამატება არ იგეგმება. ახალი ურნების შეძენა გათვალისწინებულია მომავალი წლისთვის.*

*დაბა ლაითურის საბავშვო ბაღში პანდუსის მოწყობასთან დაკავშირებით მიმართეთ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელს სოფელ ლაითურში, ემზარ ბერიძეს, რომელიც განცხადებით მიმართავს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას აღნიშნული საკითხის მოგვარებასთან დაკავშირებით.*

*ლაითურის ყოფილი აგრო-ეკონომიკური შენობა სახელმწიფო საკუთრებაშია და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ ვერ იქნება შეტანილი საპრივატიზაციო ნუსხაში.*

*ნარუჯის ცენტრში არსებული კლუბის დემონტაჟი უკვე დაწყებულია. დემონტაჟის დამთავრების შემდეგ ამ ტერიტორიაზე მოეწყობა კულტურისა და დასვენების პარკი.*

*ოზურგეთი-ნარუჯა-ლაითურის გზის მოასფალტება, ჯერჯერობით, დაგეგმილი არ არის. გათვალისწინებულია აღნიშნული გზის მოხრეშვა-დაგრეიდერება",* _ გვითხრეს პრესსამსახურში.

# სრულდება თუ არა დარღვევით წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოები სოფლებში

ჟანა მეგრელიშვილი
გურია ნიუსი

**"ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით მჟავანაძემ "დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში" ბრიფინგი გამართა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში წყლის რეაბილიტაციასთან დაკავშირებულ პრობლემებზე ისაუბრა. მჟავანაძის განცხადებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში _ ჭანიეთში, ასკანაში, ძიმითში, ჯუმათში წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე დახარჯულია მილიონობით ლარი, ხოლო სამუშაოები დარღვევებით არის შესრულებული.**

*"მინდა, გაგაცნოთ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში უხარისხოდ შესრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების მცირე ჩამონათვალი. ამ ეტაპზე აქცენტი წყლის რეაბილიტაციის პროექტზე გავაკეთეთ. პირველი, რაზეც გვინდა ვისაუბროთ, არის ასკანის წყალი, რომლის პრობლემაც დიდი ხანია დგას და ამაზე ჩვენ ვითხოვდით რეაგირებას, თუმცა, ხელისუფლებამ აღნიშნულთან დაკავშირებით არაფერი გააკეთა, რასაც სავალალო შედეგი მოჰყვა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პროექტის გასახორციელებლად დაიხარჯა 1 194 854 ლარი, პრობლემა ასკანელებისთვის კვლავაც მოუგვარებლად რჩება, ვინაიდან წყლის მილები ვერ უძლებს არსებულ წნევას, რის შედეგადაც ხდება მათი მასიური დაზიანება. გარდა ამისა, სამუშაოების შესრულებისას არ იქნა გამოყენებული, ეგრეთ წოდებული, ქვიშის ბალიშები, რაც მომავალში გამოიწვევს მილების დაზიანებას. ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს სოფელ ჭანიეთში, წარმოდგენილ ფოტოებში ნათლად ჩანს, რომ მილები დაუმარხავია, ფოტოები გადაღებულია პროექტის დასრულების შემდეგ",* _ ამბობს **დავით მჟავანაძე.**

მისივე თქმით, სოფელ ჭანიეთში პროექტის ჩაბარების შემდეგ კონკრეტულ მონაკვეთებში ორჯერ შეიცვალა მილები, რადგან მანამდე არსებული მილები ვერ უძლებდა წნევას და ზიანდებოდა: *"აღსანიშნავია, რომ, ჯამში, ჭანიეთში წყლის რეაბილიტაციისთვის დახარჯულია 14 ათას ლარზე მეტი, თუმცა, პრობლემა, სხვა სოფლების მსგავსად, დღემდე მოუგვარებელია. იგივე შეიძლება ითქვას სოფელ ძიმითზეც, სადაც წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის გამოყოფილია 33 977 ლარი. ასევე საყურადღებოა სოფელ ჯუმათის მაგალითიც, სადაც წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისთვის გათვალისწინებულია 1 184 969 ლარი და ამ ეტაპზე უხარისხოდ და ყოველგვარი ნორმების დარღვევით მიმდინარეობს სამუშაოები, კონკრეტულად კი შემიძლია, ვთქვა, რომ არ ხდება მილების, ეგრეთ წოდებულ, "ქვიშის ბალიშებში" მოქცევა და იფარება ქვიანი მიწით. ხელისუფლებას შევახსენებთ, ეს არის ხალხის ფული და პასუხისმგებლობით მოეკიდონ აღნიშნულ საკითხებს, რადგან მხოლოდ ამ ოთხ შემთხვევაში, ჩვენ საქმე გვაქვს 2 მილიონ ნახევარ ლარზე მეტი თანხის უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოებში დახარჯვასთან",* _ თქვა ენმ-ს "ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ.


**ასეთ მდგომარეობაშია წყლის მილები სოფელ ასკანაში**
| ფოტო: ჟანა მეგრელშვილი

აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარი **ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ არჩილ ყაზაიშვილმა** გააკეთა:

*"საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის "თ" ქვეპუნქტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება მოსახლეობის წყალმომარაგებით და წყალარინებით უზრუნველყოფა. ამასთან, ამავე კანონის 163-ე მუხლის 1 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ამ კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის "თ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში, სასმელი წყლის მიწოდებას და წყალარინებით მომსახურებას უზრუნველყოფს შესაბამისი ლიცენზიატი კერძო სამართლის სუბიექტების საშუალებით იმ დასახლებებში, სადაც სასმელი წყლის მიწოდებას და წყალარინების მომსახურებას შესაბამისი ლიცენზიატი მიმწოდებელი არ ახორციელებს. გასათვალისწინებელია, რომ მუნიციპალიტეტს, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასა და მიმწოდებელ კერძო სამართლის სუბიექტებს შორის სამართლებრივი ურთიერთობის პირობები ამ კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის "თ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში, განისაზღვრება შესაბამისი საკანონმდებლო აქტით. აღნიშნული საკანონმდებლო აქტის პროექტი მზად იქნება 2015 წლის 31 დეკემბრამდე, რომელსაც ამზადებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და მას საქართველოს პარლამენტს წარუდგენს საქართველოს მთავრობა. ამდენად, ამ აქტის მიღებით საბოოლოდ გაიმიჯნება სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტებსა და შესაბამისი მიმწოდებელ კერძო სამართლის სუბიექტებს შორის ფუნქციები. პარალელურ რეჟიმში, მუნიციპალიტეტში უკვე დაწყებულია შესაბამისი პროცესი და მუნიციპალიტეტის მიერ კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნება, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობისთვის წყალმომარაგებისა და წყალარინების სერვისის ხარისხიან მიწოდებას",* _ აღნიშნავს ყაზაიშვილი.

# რატომ შეაჩერა "სოკარმა" გაზიფიცირების სამუშაოები

ნატო გოგელია
გურია ნიუსი

**გასულ ორშაბათს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გორაბერეჟოულის მოსახლეობის ნაწილმა გაზიფიკაციის მოთხოვნით აქცია გამართა _ ისინი ხელისუფლებისგან წინასაარჩევნოდ მიცემული დაპირების შესრულებას ითხოვდნენ:**

**_ 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნების წინ, როცა ქუჩა გადავკეტეთ და სოფლის მთლიანი გაზიფიცირება მოვითხოვეთ, ბევრი დაპირება მოგვცეს. მაშინდელი გუბერნატორიც მოვიდა, დღევანდელი გამგებელიც და "სოკარის" წარმომადგენელიც. გვითხრეს, რომ წელს სოფელში გაზიფიცირების სამუშაოები დასრულდებოდა, თუმცა მოგვატყუეს, _ აღნიშნეს აქციის მონაწილეებმა, რომლებსაც ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი ირაკლი კუჭავაც შეხვდა.**

**გორაბერეჟოულელებმა გამგებელს დაპირებების შესრულება მოთხოვეს და აღნიშნეს, რომ თუ სოფელს გაზი არ ექნება, პროტესტის უფრო რთულ ფორმებს მიმართავენ.**



**ირაკლი კუჭავა აქციის მონაწილეებთან** | ფოტო: დავით ჩხიკვაძე

**ირაკლი კუჭავას** თქმით, ხელისუფლება დაპირებებს ასრულებს და სოფლის დაპროექტება დასრულებულია:

*_ ჩვენ შესაბამის სტრუქტურებს მივაწოდეთ სოფლების სია. სიის თავშია გორაბერეჟიული, ერკეთი, იანეული _ ის სოფლები, სადაც გაზიფიცირება ნახევრად არის გაკეთებული. ვიცი, რომ საპროექტო სამუშაოები უკვე დასრულებულია. "სოკარი" კერძო კომპანიაა და ჩვენ მის მაგივრად დაპირებებს ვერ გავცემთ,* _ გვითხრა კუჭავამ.

თუმცა, მოსახლეობა ამტკიცებს, რომ მთელი წლის განმავლობაში, გორაბერეჟოულში ამ მიმართულებით სამუშაოები არ შესრულებულა:

*_ სოფლის ნაწილს აქვს გაზი, ნაწილს _ არა. გურიის ყოფილმა გუბერნატორმა ალეკო ცინცაძემ მხოლოდ მის უბანში შეაყვანინა გაზი და ნახევარი სოფელი დატოვა. ყოველი არჩევნების წინ გვპირდებიან და გვატყუებენ. ასე იყო გასულ წელსაც. არჩევნების ჩაშლას ვაპირებდით და ამიტომ მოიყვანეს "სოკარის" წარმომადგენელი ტყუილი დაპირებებით,* _ გვითხრეს აქციაზე მყოფმა მოქალაქეებმა.

აღსანიშნავია, რომ გორაბერეჟოულის მოსახლეობას **კომპანია "სოკარის" გენერალური დირექტორის მოადგილე ანტონ სამსონაძე** მათი მოთხოვნის დაკმაყოფილებას ნამდვილად 2015 წლისთვის დაპირდა:

*_ მე არ ვარ პოლიტიკოსი და არ ვაპირებ ტყუილი დაპირებები მოგცეთ. 2014 წელს გავაკეთებთ პროექტს. 2015 წელს დაიწყება სამუშაოები და გპირდებით, რომ 2016 წელს მთელს სოფელს ექნება გაზი,* _ ჰპირდებოდა სამსონაძე აქციის მონაწილეებს.

თუ გურიის გუბერნიის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ ცნობას დავეყრდნობით, შპს "საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიამ" წელს გორაბერეჟოულის გაზიფიცირების პროექტი გააკეთა, ხოლო სამუშაოები მომავალ წელს დაიწყება:

*"შპს "საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია" გაზიფიცირების სამუშაოებს გურიის რეგიონის შემდეგ სოფლებში განახორციელებს _ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი: გორაბერეჟოული, შუა ფარცხმა, იანეული, ჯვარცხმა, ბუკისციხე, დაბლაციხე, ზემო ფარცხმა, ზემო ერკეთი, ახალშენი, გოგოლესუბანი, შუა ამაღლება, ამაღლება, სამება; ოზურგეთის მუნიციპალიტეტი _ დაბა ურეკი, დაბა ნასაკირალი, ნატანები, დვაბზუ-გალმა დვაბზუ, ბახვი-ზედა ბახვი, გურიანთა-ციხისფერდი; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი _ მაჩხვარეთი, შუხუთი, წყალწმინდა, აკეთი, მამათი, აცანა.*

*გაზის ტრანსპორტირების კომპანია ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სოფლების გაზიფიცირებისთვის საჭირო საპროექტო სამუშაოებს 2015 წლის ბოლომდე დაასრულებს. ამ დროისთვის დაწყებულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის და სოფლების: შეკვეთილის, წვერმაღალას, ქვემო ნატანების, ზემო ნატანებისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ გრიგოლეთის გაზიფიცირებისთვის საჭირო სამუშაოები.*

*გურიაში გაზიფიცირება წლების განმავლობაში მოუგვარებელი პრობლემა იყო. გაზიფიცირების სამუშაოები ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების კოორდინირებული თანამშრომლობის შედეგად დაიწყება. გაზიფიცირების სამუშაოების დასრულების შემდეგ, ბუნებრივი აირის ქსელში ჩართვის შესაძლებლობა ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის სოფლებს მიეცემათ",* _ აღნიშნულია გურიის გუბერნიის მიერ 2015 წლის ივლისში გავრცელებულ განცხადებაში.

**გურიის გუბერნატორი გია სალუქვაძე** ამბობს, რომ აღნიშნული ინფორმაცია "გაზის ტრანსპორტირების კომპანიამ" მიაწოდა:

*_ ამას კიდევ დაემატა სხვა ობიექტები. ინფორმაციის გავრცელების საფუძველი კი "გაზის ტრანსპორტირების კომპანიიდან" მოწოდებული ინფორმაციაა,* _ ამბობს გურიის პირველი პირი.

გურიის გუბერნატორის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას უარყოფენ "გაზის ტრანსპორტირების კომპანიაში":

*_ ეს არ არის ჩვენი თემა. ენერგეტიკის სამინისტროს ან "სოკარს" მიმართეთ,* _ გვითხრა **"საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის" საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ მარიამ ადამაშვილმა.**

მისივე თქმით, მათ მაგისტრალები და მაღალი ძაბვის სისტემები ეხებათ:

*_ ჩვენ დიდი პროექტები გვეხება. გაზიფიცირებას, გამრიცხველიანებას აკეთებს "სოკარი",* _ ამბობს ადამაშვილი.

***_ გუბერნიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში რამდენიმე სოფელია ჩამოთვლილი, სადაც თითქოს თქვენ გააკეთეთ პროექტები...***

*_ ვერაფერს გეტყვით ამაზე. ჩვენ დიდ პროექტებს ვახორციელებთ,* _ დაგვიზუსტა ადამაშვილმა.

მიუხედავად იმისა, რომ გურიის გუბერნიამ კონკრეტული სოფლების გაზიფიცირების პროექტის არსებობის შესახებ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ ივლისში ამცნო საზოგადოებას, ირკვევა, რომ მათ არ აქვთ ინფორმაცია იმისა შესახებ, რომელი სოფლების გაზიფიცირება დაიწყება მომავალ წელს.

*_ ვამზადებთ წერილს, რათა ვიცოდეთ კონკრეტული ვადები და იმ სოფლების ჩამონათვალი, სადაც მომავალ წელს გაზიფიცირება განხორციელდება,* _ ამბობს ჩვენთან საუბრისას გურიის გუბერნატორი.

**კომპანია "სოკარის" გენერალური დირექტორის მოადგილე ანტონ სამსონაძე** "გურია ნიუსთან" საუბრისას ამბობს, რომ გორაბერეჟოულში გაზიფიცირების სამუშაოები 2016 წელს დაიწყება და პროექტი მათი დაკვეთით გაკეთდა. ჩვენს კითხვაზე, რატომ არ შეასრულა დაპირება, სამსონაძე გვპასუხობს, რომ ეს მთავრობასთან შეთანხმებით მოხდა:

*_ გორაბერეჟოული ნამდვილად იყო ამ წლის გეგმაში, როგორც მრავალი სხვა სოფელი, მაგრამ მთავრობასთან შეთანხმებით, წლევანდელი სამშენებლო პროგრამა 2016 წელში გადავიტანეთ. ამის მიზეზი ის გახდა, რომ ძალიან ბევრი მისაერთებელი აბონენტი გვყავდა საქართველოში. ფართოდ ვაშენებდით ქსელებს, მაგრამ ვერ ვასწრებდით აბონენტების დაერთებას. ბევრი სოფელი იყო, სადაც გაზსადენი გადიოდა და არ იყო აბონენტი. წელს, 60 000-ზე მეტი აბონენტი დაერთდა აშენებულ ქსელებზე, რამაც 15 პროცენტით გაზარდა მათი რაოდენობა. პირველი მილი, რომელიც 2016 წელს ჩაიდება ჩოხატაურში, სოფელ გორაბერეჟოულში იქნება. ჩვენ ვიწყებთ მშენებლობას, პროგრამა გვაქვს დასამთავრებელი, ინვესტიციებია ჩასადები, რომელსაც ვერანაირად ვერ გავექცევით და ამისთვის გვაქვს 2016-2017 წლები. თუმცა, ამის პარალელურად, ჩოხატაურში გორაბერეჟოული იქნება პირველივე ობიექტი, სადაც გაზიფიცირება დაიწყება.*

***_ კონკრეტული თარიღი შეგიძლიათ გვითხრათ?***

*_ ზამთარში ვერ დავიწყებთ მუშაობას. ალბათ, უფრო აპრილი-მაისი.*

***_ ბატონო ანტონ, როგორც გორაბერეჟოულში გვითხრეს, ერთ-ერთ ადამიანს საკუთარი სახსრებით სურდა გაზის შეყვანა იმ მილიდან, რომელიც მისი სახლის მოპირდაპირე მხარესაა, თუმცა, უარი უთხრეს იმ მიზეზით, რომ სოფელი გაზიფიკაციის პროექტშია და არ შეიძლება... ეს რაიმე ახალი წესია?***

*_ ახლა რომ თავისით შეიყვანოს, ძალიან ძვირი დაუჯდება. კაცი რომ 1 000-1 500 ლარს გადაიხდის და მერე მისი მეზობელი ამას 400 ლარად შეძლებს, ეს კონფლიქტის მიზეზი გახდება. თუმცა, აქაც დეტალებია: ზუსტად არ ვიცით, რაზე უთხრეს უარი. შეიძლება 400-ლარიან დაერთებაზე უთხრეს უარი და ამას აქვს ობიექტური მიზეზი. გორაბერეჟოული არ შედის სემეკის მიერ გამოქვეყნებულ გაზიფიცირებულ სოფელთა ნუსხაში. იმ დასახლებაში, სადაც გაზიფიცირება დასრულებულია, აბონენტის 400 ლარად დაერთების ვალდებულება გვაქვს, რაც არ უნდა დაგვიჯდეს. თუმცა, გორაბერეჟოულის მსგავს დასახლებაში უნდა დავუთვალოთ ცვეთა. შესაბამისად, უნდა გადაგვიხადოს, რასაც დავთვლით და შეიძლება ეს 2 000 ლარიც კი იყოს. გორაბერეჟოულიდან მოსულ ადამიანს ახლა ვერ ჩავრთავთ 400 ლარად, კანონს ვერ დავარღვევთ. მომავალ წელს, როგორც კი მთელი სოფლის გაზიფიცირება მოხდება, ყველას შეეძლება გაზის შეყვანა 400 ლარად.*

***_ ბატონო ანტონ, ჩვენს ინტერვიუში ენერგეტიკის მინისტრმა განაცხადა, რომ 2017 წელს მთელი საქართველოს გაზიფიცირება დასრულდება. რამდენად სწორი ინფორმაცია მოგვაწოდა კახი კალაძემ?***

*_ ეს სწორია, მაგრამ აქ რამდენიმე ნიუანსი უნდა გაიგოთ სწორად. ყველა ქვეყანაში სრულ გაზიფიკაციად ითვლება ის, რასაც ეკონომიური თვალსაზრისით აზრი აქვს. თუ არ ვცდები, საქართველოში ეს 75%-ს ნიშნავს _ რომ არ მოგატყუოთ, ზუსტად არ მახსოვს, მოსახლეობის თუ ტერიტორიის, რადგან ზემო სვანეთში და ისეთ ადგილებში, სადაც მილით ვერ მიხვალ, გაზის შეყვანა ვერ მოხდება. მაგრამ ეს არ ნიშნავს რომ გაზიფიცირებული არ იქნება, რადგან არავინ არ განიხილავს მაგ რეგიონის გაზიფიკაციას. რაც შეეხება მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც დაბალ ადგილებში და მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებში ცხოვრობს, პრობლემა არ ექნება.*

***_ გამოდის, რომ მაღალმთიან სოფლებში გაზის შეყვანის საკითხი არც კი განიხილება...***

*_ ეს მთელ მსოფლიოში სხვანაირად ხდება. მაღალმთიან სოფელში შეიძლება ჩაიმარხოს კონტეინერის ტიპის საწვავის ავზი, შემოდგომაზე ავიდეს ცისტერნა, დატუმბოს ისე, რომ მთელი ზამთარი ეყოს იმ სოფელს. თუმცა, ეს ჩვენს გაზიფიკაციაში არ შედის. შეიძლება, მსგავსი პროექტი სამომავლოდ განვიხილოთ.*

***_ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ორი მაღალმთიანი სოფელია _ ზოტი, სურები... ამ სოფლების გაზიფიცირება შედის თქვენს გეგმებში?***

*_ მე ახლა ვიცი, რომ აუცილებლად იქნება გორაბერეჟოული და დასრულდება ხიდისთავი. ეს რაც დანამდვილებით შემიძლია გითხრათ. დანარჩენი სოფლები წლის დასაწყისში შეთანხმდება სამინისტროსთან. 2016 წელში გადავა ის, რაც 2015-ში უნდა გაკეთებულიყო. ჩოხატაურში რაც გაკეთდება, მარტში ან აპრილში გახდება ცნობილი სამინისტროსთან შეთანხმებული სიით. ამ წუთში სურებზე კი არ არის საუბარი, მთლიანად ჩოხატაურზე ვსაუბრობთ, რადგან ახლა, გარდა გორაბერეჟოულისა და ხიდისთავისა, სხვა სოფლები გეგმაში არ გვაქვს.*

***_ გურიის გუბერნატორი ამბობს, რომ მომავალ წელს, გორაბერეჟოულთან ერთად აუცილებლად მოხდება სოფელ ერკეთის გაზიფიცირებაც...***

*_ ახლა იმაზე გესაუბრებით, რაც მახსოვს. თუმცა, ერკეთისკენ ჩვენ მივდიოდით და როგორც მახსოვს, ორი ერკეთია. ერთ-ერთში შევედით. ალბათ, მეორეშიც ავალთ.*

***_ ბატონო ანტონ, მონასტრებს მართლა უფასოდ აძლევთ გაზს?***

*_ კი. ჩვენ გვაქვს საპატრიარქოსთან გენერალური ხელშეკრულება და არა მხოლოდ მონასტრებს, არამედ ნებისმიერი ოფიციალური კონფესიის ობიექტებს ვაწოდებთ უფასო გაზს. ამაში შედის ეკლესიები, სინაგოგა, მეჩეთი და ა. შ. თუმცა, ეს ხდება არა პირდაპირ, არამედ საპატრიარქოს გავლით. ისინი ადგენენ ამ ობიექტების ნუსხას, ჩვენ ვაწოდებთ გაზს და "სოკარის" სათაო ოფისი გვიხდის ამის საფასურს. ეს მიღებული პრაქტიკაა აზერბაიჯანში და ასე გადაწყვიტეს საქართველოშიც.*

# სოციალურად დაუცველთა გასაჭირი და დაუსრულებელი დაპირებები

ა-1▶

**სოსო კაპანაძე:** *"დაზიანებულ ჭერს არ ვჩივი, სულ არ მინდა ეს ჭერი, ოღონდ შიფერი მომცენ, რომ გადავხურო და წყლისგან თავი დავიცვა. უმადური ადამიანები არ ვართ, ხელისუფლება საკვები პროდუქტებით გვეხმარება, შარშან მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე პირადად გვეწვია ოჯახში საახალწლოდ და საჩუქრებით გაგვახარა. "გურია ნიუსში" გამოქვეყნებული წერილის წაკითხვის შემდეგ მოსკოვიდან ქართველი ქალბატონი შეგვეხმიანა და სარეცხი მანქანა საჩუქრად გადმოგვცა. მადლობელი ვარ, კვლავ თქვენი იმედით ვცოცხლობ. ხუთ შვილს ვზრდით და თავზე გვაწვიმს. უმთავრესი ჩვენთვის ამ სახლის გადახურვაა. იქნებ, ნაწილობრივ მაინც დაგვეხმარონ. კი გვპირდებიან, მაგრამ უკვე დაზამთრდა, წვიმამ იმატა და ჭერიც, სადაცაა ჩამოვარდება".*

ავთანდილ და ხათუნა ცინარიძეების ქოხი საცხოვრებლად, თითქმის, გამოუსადეგარია, მაგრამ სხვა გზა არ აქვთ. ამ ოჯახს გასულ წელს შეპირდნენ დახმარებას, მისცეს გარკვეული რაოდენობის შიფერი, თუმცა, ასევე შეპირებული იყვნენ, რომ მისცემდნენ სამშენებლო "ბლოკს", რომლის გარეშეც ამ ქოხის გადახურვა შეუძლებელია, რადგან ხის ფიცრულის მარცხენა კედელი, ფაქტიობრივად, ჩამოშლის პირასაა და მასზე სახურავის ახალი საყრდენის მოთავსება სრულიად შეუძლებელია.

**ავთანდილ ცინარიძე:** *"შიფერი მომცეს და მადლობელი ვარ, თუმცა, ნათქვამი ჰქონდათ, რომ ამ შიფერთან ერთად, ცემენტის ბლოკებსაც მოგვცემდნენ. ჯერჯერობით, ამაოდ ველოდებით. როგორ დავხურავ სახლს ზემოდან, როცა კედელი უვარგისია? ორჯერ რომ ჩაქუჩი დაუკაკუნო, ჩამოიშლება და მინდორში აღმოვჩნდებით. ზამთარი მოვიდა ამ ლოდინში და შეხედეთ ამ კედლებს, გაძლებს გაზაფხულამდე? უნდა ვილოცოთ, რომ დიდი* თოვლი არ მოვიდეს", _ გვეუბნება ავთო ცინარიძე.

**ცარო ტყეშელაშვილი** იმედს არ კარგავს, რომ დაეხმარებიან:

*"მარტო ვცხოვრობ. ჩემი სახლი ძალიან ძველია, მეორე სართულზე ასვლისაც მეშინია. ქარმა სახურავი ააგლიჯა და ერთ მხარეს მუდამ წყალი ჩამოდის. ვედროებს და ქვაბებს ვდგამ მეორე სართულზე, რომ წყალი არ ჩამოვიდეს. ამ ზაფხულს შემპირდნენ დახმარებას, მაგრამ ზამთარი მოდის და შიშისგან აღარ ვარ. მაინც იმედით ვარ _ ასე როგორ დამტოვებენ? ასჯერ შემპირდნენ და ერთხელ არავინ დამეხმარება? სახლის დადგმას ხომ არ ვითხოვ? წყალი რომ არ ჩამოვიდეს, ისე მინდა, გააკეთდეს",* _ ამბობს ცარო ტყეშელაშვილი, რომელსაც არაერთი ავადმყოფობა აწუხებს, მაგრამ თავს ძალას ატანს, რომ როგორმე სახლ-კარს მიხედოს.

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი სოფელ ჭანიეთში მერაბ ბერაძე** "გურია ნიუსთან" საუბარში ამბობს: _ *კაპანაძეების ოჯახს, ვფიქრობ, მომავალ წელს თუ დაეხმარებიან. წელს გადასაცემი მასალების სიაში ცარო ტყეშელაშვილის ოჯახია _ მას შიფრის გარკვეული რაოდენობა უნდა გადაეცეს. ცინარიძეების ძალზე გაჭირვებული მდგომარეობაც ვიცი. მათ იციან, რომ უყურადღებოდ არ ვტოვებ და გამგეობაში გაცხადებული მაქვს. ახლაც თათბირზე წასასვლელად ვემზადები და ამ თემაზე მექნება საუბარი. სხვა რა გითხრათ?* _ ამბობს ბერაძე.



ავთანდილ ცინარიძის ქოხი | ფოტო: მარინე ჩიხლაძე



სოსო კაპანაძის სახლის ჭერი | ფოტო: მარინე ჩიხლაძე

ჩვენ მივმართეთ **ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს ბადრი გობრონიძეს:** *"მახსოვს, რომ ჩემთან იყავით ცინარიძის ოჯახის წარმომადგენელთან ერთად. დაპირებაც მახსოვს, თუმცა, ისე შეზღუდული ვართ თანხების მხრივ, რომ ამ წლის მიწურულს, გადასაცემი საშენი მასალების სიაში სოფელ ჭანიეთიდან შეტანილია ოთარ ლომჯარიას და სოსო ხავთასის ოჯახები. მათ კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა აქვთ. რაც შეეხება კაპანაძის, ცინარიძის და ტყეშელაშვილის ოჯახებს, მათი უკიდურესად მძიმე მდგომარეობაც ვიცით, თუმცა, ახლა არანაირი საშუალება არ არის მათ დასახმარებლად. ახალი წლის დასაწყისში, პირველივე თვიდან ამ ოჯახების დახმარებაზე ვიზრუნებთ და არ დავტოვებთ უყურადღებოდ",* _ გვითხრა გობრონიძემ.


## შპს "კახური ტრადიციული მეღვინეობა"



ვაზის გაშენების მსურველებს უფასოდ სთავაზობს ჩხავერის ერთწლიან, ნამყენ სტანდარტულ ნერგებს და გაუწევს სათანადო კონსულტაციას!

ცნობებისთვის მიმართეთ ანდრო ვაშალომიძეს.
ოზურგეთი, სოფელი შემოქმედი.
ტელეფონი: 598108674


## უფასო განცხადებები

### იყიდება

ჩოხატაურში, გუთური-ჩაისუბნის საზღვართან, 2-სართულიანი, ქვის სახლი, ბუნებრივი აირით.
ტელ: (595) 612975. (593) 374036.

ჩოხატაურში, სოფ. ხიდისთავში 2-სართულიანი სახლი, დამხმარე ნაგებობებით, ჭით, ბუნებრივი აირით.
ტელ: (591) 706074.

ჩოხატაურში, სოფ. გუთურში, სკოლასთან ახლოს, სახლი დამხმარე ნაგებობებით, ბუნებრივი აირით, წყლით, გაშენებული ეზოთი, 3200 კვმ. სკოლასთან ახლოს.
ტელ: (597) 000603, (577) 148781.

ავტომანქანა "mersedes benci-E 124" (ე.წ. "ეშკა"), იაპონიიდან ჩამოყვანილი, ქარხნული, მარცხენა საჭით, ორიგინალი, 108 000 კმ. გარბენით.
ფასი შეთანხმებით.
ტელ: (598) 108118.

ავტომანქანა "ოპელ ექსტრა", სედანი, ძრავი 1.6, ბენზინზე, 1998 წლის გამოშვება. კარგ მდგომარეობაში.
ტელ: (551) 175338, დოდო.

სასწრაფოდ, ავტომანქანა "აუდი 100". ტელ: (558) 447300.

ავტომანქანა "ოპელ ასტრა", ფურგუნი, 1996 წლის გამოშვება, კარგ მდგომარეობაში, ელექტროშუშებით, კონდიციონერით, ABS, ჰიდრავლიკა, 1.6-იანი ძრავით.
ტელ: (598) 808908,

ავტომანქანა "ფორდ ტრანზიტი" და ავტომანქანა "უაზი". ტელ: (577) 782882.

ავტომანქანა "მერსედესი 190", მუშა მდგომარეობაში, გაზზე. ფასი 1200 ლარი.
ტელ: (599) 020728.

ავტომანქანა "ფორდი", კარგ მდგომარეობაში. ტელ: (551) 174044.

ღვინო "ცოლიკაური", უმაღლესი ხარისხის. ტელ: (555) 553737, (790) 553737.

ფუტკრის ოჯახები. ტელ: (593) 112008.

12 ოჯახი ფუტკარი. ტელ: (551) 328714.

მამალი ცხენი, 5 წლის, დაწმენდილი. ფასი შეთანხმებით. ტელ: (551) 175338.

18-22 კგ-იანი ბურვაკები.
ტელ: (593) 356757.

ჩოხატაურის რაიონში, წლინახევრის ძაღლი "ავჩარკა" ან გაიცემა.
ტელ: (595) 306106.

ფური, 150 კგ-იანი. ნავთის ავზი, 2-ტონიანი. ტელ: (577) 926243.

საუკეთესო ჯიშის ფურები, 3 წლის, პირველი ხბოობა, 5 თვის მაკე, მეორე 2 წლის, 3 თვის მაკე.
ტელ: (557) 900225, (555) 350189.

კივის ნერგები. ტელ: (558) 976064.

კარგი ჯიშის მაკე დეკეული. გოჭები. ტელ: (551) 098086.

თებერვალში ხბომოსაგები ფური, 3 წლის, პირველი ხბოობა, კარგი ჯიშის. ჩოხატაური, სოფ. ვან-ზომლეთი.
ტელ: (555) 553737, (790) 553707.

კარგი ჯიშის ძროხა, 6 თვის მაკე, მეორე ხბოობა, 8 ლიტრი წველადობის, 9 თვის მოზვერი ხბოთი. შეიძლება გაიყიდოს ცალ-ცალკეც.
ტელ: (599) 627585.

80 კგ-იანი ღორი. ღვინო "ადესა".
ტელ: (595) 752729.

### ქირავდება!

ჩოხატაურში, ცენტრალურ ადგილზე, 9 აპრილის ქუჩაზე, საცხოვრებელი სახლის ნაწილი. ტელ: (593) 715174.

ჩოხატაურის ცენტრში, სასაწყობე ფართი. ტელ: (577) 957903.

ჩოხატაურში, ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, სახლის პირველ სართულზე, 4-ოთახიანი ბინა, გაზით, წყლით, სახლის წინ პატარა ეზოთი, ხეხილით გაშენებული, ჭით.
ტელ: (595) 850388, (577) 285209.

### შევიძენ!

საბუხრე ჯირკებს, ხმელ მდგომარეობაში.
ტელ: (595) 858315.

ან იჯარით ავიღებ 10 ჰექტარამდე მიწის ფართობს.
ტელ: (593) 116012, (557) 246902.

კომერციულ ფართს, ჩოხატაურის ცენტრში. ტელ: (593) 909343.

მეორად ჭიშკარს. ტელ: (593) 765896.

## ხსოვნა



მორის, ბაკია ჯიბუტები ოჯახებით იუწყებიან
**გიგა ყაჭეიშვილის**
გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახს და ახლობლებს.



ლალი მამალაძე ოჯახით იუწყება
**სიმონ დოლიძის**
გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.



ნონა დოლიძე, შოთა ფოცხიშვილი ოჯახით, დიდი გულისტკივილით იუწყებიან ძვირფასი, საიმედო, საამაყო ადამიანის
**გიგა ყაჭეიშვილის**
გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახს.

ლიანა სიხარულიძე, დათო, ნუგზარ ცინცაძეები თანაუგრძნობენ ზოია, მამია, ბედული ბარამიძეებს ბიძის
**გურამის**
გარდაცვალების გამო.

ნანული დოლიძე, იამზე სიხარულიძე თანაუგრძნობენ ლია, რეზო დოლიძეების ოჯახს ძმისა და ცოლისძმის
**ვაჟა დუდუჩავას**
გარდაცვალების გამო.



ტატიანა ბარამიძის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება გულნაზ, კაკო სიხარულიძეების ძმისა და ცოლისძმის
**სიმონ დოლიძის**
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ოჯახს, ახლობლებს.



გოჩა სიხარულიძე ოჯახით თანაუგრძნობს გულნაზ, კაკო სიხარულიძეებს ძმისა და ცოლისძმის
**სიმონ დოლიძის**
გარდაცვალების გამო.

თემურ უნგიაძის ოჯახი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ღირსეული ქალბატონის
**ლიანა ქიქინაძე-ბედინეიშვილის**
გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს შვილებს, შვილიშვილებს და ყველა ახლობელს.

#2 ბაგა-ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ გულნაზი დოლიძეს, ძმის
**სიმონას**
გარდაცვალების გამო.

იკითხეთ
გურია NEWS

## განცხადებები


### ყურადღება!

ჩოხატაურში, #1 საჯარო სკოლაში გაიხსნა განათლების, კულტურისა და ხელოვნების საერთაშორისო აკადემიის ფილიალი, სადაც ყველა მსურველს შეუძლია ინგლისური ენის შესწავლა ბრიტანეთში აკრედიტირებულ პედაგოგებთან.
***სწავლა დაწყებულია.***
მიღების დღეები: სამშაბათი-პარასკევი, 2-დან 4-საათამდე.
ტელ: (591) 688577, (557) 474773, (790) 743377.
Site: www.evpatori.ge
Mail: info@evpatori.ge



### ყურადღება!

დამკრძალავი ბიურო გთავაზობთ მომსახურებას:
მაცივარი და მიცვალებულის ჩაცმა 60 ლარიდან, გამზადებული სასახლეები _ 180 ლარიდან, სუდარა, საფლავის ამოღება, კატაფალკა, ეკვდერის დამზადება, მარმარილოს ქვები. სრული სერვისის შემთხვევაში _ სუდარა უფასოდ.
ჩოხატაური, ბეჟან ხაბეიშვილი.
(599) 903501, (579) 231023,

### ყურადღება!

დამკრძალავი ბიურო მოგემსახურებათ სრული სერვისით: მაცივარი და მიცვალებულის ჩაცმა _ 80 ლარი. საფლავის გამზადება. სასახლე _180 ლარიდან. საჭიროების შემთხვევაში ქირურგიული ჩარევა, ტრანსპორტირება.
ჩოხატაური. ამირან ჭეიშვილი.
(593) 531391, (599) 784506.

### ყურადღება!

ჩოხატაურში, სოფელ შუა ამაღლებაში, საოჯახო ფერმერულ მეურნეობას ესაჭიროება ახალგაზრდა, პასუხისმგებლიანი, შრომისმოყვარე, მოწესრიგებული ოჯახი, რომელსაც კარგად ეცოდინება ხეხილის და საქონლის მოვლა-პატრონობა. გთავაზობთ საუკეთესო საცხოვრებელ პირობებს და ანაზღაურებას.
ტელ: (555) 982277.

### ყურადღება!

ვიბარებ ნებისმიერი წონის ღორებს.
უმაღლეს ფასებში.
(593) 223336 _ გელა.
(595) 242327 _ ბექა.


ჩოხატაურის ცენტრში, დასაშლელი, 2-სართულიანი წაბლის ხის სახლი.
ტელ: (595) 321454.

2-სართულიანი კაპიტალური სახლი, 1 ჰა მიწის ნაკვეთით, თხილებით, ვენახით გაშენებული ეზოთი, ბუნებრივი აირით. ჩოხატაური, სოფ. ახალშენი, ტელ: (591) 287441.

ჩოხატაურში, საკოლმეურნეო ბაზართან, უნივერმაღის გევრდით, 45 კვმ. ფართის შენობა.
ტელ: (591) 154545.

ჩოხატაურის ცენტრში, დუმბაძის 21, კინო-თეატრის გვერდით, 230 კვმ. მიწის ნაკვეთი. ტელ: (514) 415353.

ჩოხატაურში, ყოფილ სახანძროსთან, 50 კვმ. მიწის ნაკვეთი.
ტელ: (591) 154545.

დაბა ჩოხატაურში, ფიროსმანის 3-ში, კაპიტალური სახლი, 4 საძინებლით, დიდი მისაღები ოთახით, კორიდორული სისტემით, გაზის და წყლის შეყვანის პერსპექტივით (მიყვანილია ეზომდე) 1700 კვმ. მიწის ნაკვეთით.
ტელ: (598) 311824.

ჩოხატაურში, სოფ. ზემოფარცხმაში, სახლი ეზოთი.
ტელ: (557) 055445.

6 ჰა მიწის ნაკვეთი, შეღობილი. 1 კვმ. _ 3 ლარი.
ტელ: (599) 067400.

სასწრაფოდ, ჩოხატაურში, სოფ. გუთურში, 2-სართულიანი სახლი, ბუნებრივი აირით. ფასი შეთანხმებით.
ტელ: (593) 947227.

სასწრაფოდ, ორი ბელეტაჟი სახლი, დამხმარე ნაგებობებით, 7 000 კვმ. ხეხილის, თხილის ბაღებით და საყანე ფართობით. ეზოში ჭით, გაზის შეყვანის პერსპექტივით.
ჩოხატაური, სოფ. გორა.
ტელ: (577) 553743.

ჩოხატაურში, სოფ. გოგოლესუბანში, 2-სართულიანი სახლი, 0.75 ჰა მიწის ნაკვეთით, თხილის და ხეხილის ბაღებით. ტელ: (568) 612438.

## უფასო განცხადებები

### იყიდება

3-ლიტრიანი მინის ქილები, ძველებური, სხვადასხვა ზომის მეორადი მინები, ხის კარი, ორფრთიანი, ჩარჩოს გარეშე. 3 ცალი კარი, ტიხარის (მეორადი), კარგ მდგომარეობაში. ხის ფანჯარა.
ჩოხატაური, ტელ: (574) 086078.

კაკლის ხის გასაშლელი მაგიდა, 15-ადგილიანი. გერმანული ხალიჩა 2/3-ზე. წიგნის თარო, 2 ცალი. დასაშლელი ავტოფარეხი, თუნუქის სახურავით, რკინის კარით.
ტელ: (599) 202521.

პიანინო "საქართველო", კარგ მდგომარეობაში.
ტელ: (595) 536794.

2 კბმ. წაბლის ხის, დახერხილი, ხმელი მასალა, სხვადასხვა ზომის.
ტელ: (568) 880511, გურამი.

2 ცალი, 400-ლიტრიანი მუხის კასრი. უჟანგი მასალისგან დამზადებული სამი 300-ლიტრიანი, 2 ცალი ტონიანი კასრები და საწნახელი. ღვინო "ცოლიკაური", ჭაჭის არაყი. ნაძვის ხმელი მასალა, იატაკის და ჭერის, 6 კბმ. იაპონური წარმოების, ფაზანოლიანი, 1 კვტ-იანი გენერატორი, ახალი. არმატურა 100 მ. 28-იანი, 100 მ. 25-იანი და 50 მ. 32-იანი მილები.
ტელ: (551) 328714.

"ზიმფერის" ფირმის ელექტრო ღუმელი. ტელ: (595) 185715.

შეშა. ტელ: (577) 725854.

6 ცალი კარი, ოთახის ტიხარისთვის, თავისი თაღებით და საყრდენებით, გალაქული, კარგ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით.
ტელ: (599) 179929, (790) 564857.

ავტოფარეხი,16 კვმ. რკინის ფირფიტებით გაკეთებული, გამოდგება "კუხნადაც". ფასი შეთანხმებით.
ტელ: (599) 198217.

რუსეთის არმატურა, 22-იანი, 186 ცალი, 2.5 მ-იანები.
ტელ: (568) 809690.

წაბლის ხისგან დამზადებული ახალი ფანჯრები, 3 ცალი, 1,8/1,05-ზე.
ტელ: (577) 952021.

"ვესტელის" ფირმის ტელევიზორი.
ტელ: (551) 174045.

აკაციის ბოძები, 2 მ-იანები.
ტელ: (593) 393171.

100 ცალი აკაციის ბოძი, 2.2 მ-იანები.
ტელ: (595) 478498.

წისქვილი, ფაზანოლიანი, 62 სმ-იანი ქვით. ტელ: (599) 376292.

კედელი ("სტენკა"), მეორადი. საუკეთესო მდგომარეობაში.
ტელ: (551) 121139.

სასიმინდე და "კუხნა", გამოდგება ძროხის ბინად. კარგ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით.
ტელ: (551) 134236.

შეშის ღუმელი, მეორადი, კარგ მდგომარეობაში (კანადური), ფასი შეთანხმებით.
ტელ: (551) 121139.

7 კვტ-იანი ძრავი, ძველებური. დენის ჩამრთველი და გამომრთველი. ავტოფარეხის რკინის ჩარჩო.
ტელ: (551) 538605, (579) 080027

ბავშვის ლოგინი, მრავალფუნქციური, სარწეველით, ლეიბით, მატრასით, 6 დიდი უჯრით, კარგ მდგომარეობაში. ფასი 300 ლარი.
ტელ: (551) 086577.

გაზის გამათბობელი. რკინის ბატარეები, სხვადასხვა ზომის.
ფასი შეთანხმებით.
ტელ: (599) 776855, (557) 233896.

5 ცალი "ლამინირებული იატაკი", გერმანული, 9 კვმ. ფასი 120 ლარი.
ტელ: (551) 086577.

XBOX, ახალი, 12 ცალი, თავისი დისკებით (ორიგინალი). ფასი 650 ლარი.
ტელ: (551) 086577.

2-სართულიანი სახლი, სველი წერტილებით, 6000 კვმ. მიწის ნაკვეთით, დამხმარე ნაგებობებით, ვენახით, თხილებით გაშენებული ეზოთი, მთის მუდმივი წყლით, ჭით. ჩოხატაური, სოფ. შუა ფარცხმა.
ტელ: (599) 328153, ლილი.

ოზურგეთში, რუსთაველის 85-ში, ბელეტაჟი სახლი.
ტელ: (598) 284418.

ჩოხატაურის ცენტრში, 2-ოთახიანი, გარემონტებული ბინა, ბუნებრივი აირით, წყლით (სველი წერტილი აივანზე), სარდაფით (სურვილის შემთხვევაში _ ავეჯით და საყოფაცხოვრებო ტექნიკით).
ტელ: (591) 002611, (591) 333867, (568) 449982.

40 კვმ. კომერციული ფართი, ჩოხატაურში საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიაზე.
ტელ: (595) 948148.

ჩოხატაურში, სოფ. გოგოლესუბანში, ხის სახლი, 2-ოთახით, დამხმარე ნაგებობებით, 0.8 ჰა მიწის ნაკვეთით.
ტელ: (558) 108449.

2-სართულიანი სახლი, 10/10-ზე, 6000 კვმ. მიწის ნაკვეთი, 2000 კვმ. ტყით, მანდარინის, კივის, ფეიხოას, ლიმონის, თხილის ბაღებით, ეზო რკინის მესერითაა შეღობილი. რკინის შველერი 6,4 მ. უჟანგი რკინის ავზი 120- ლიტრიანი.
ჩოხატაური, სოფ. ჩაისუბანი (სოფლის ცენტრში).
ტელ: (599) 141703, (599) 179979.

### უფასო განცხადების ტალონი
### № 98

--------------------------------------------------
--------------------------------------------------
--------------------------------------------------
--------------------------------------------------
--------------------------------------------------
--------------------------------------------------

ტელეფონი: --------------------------------------------------

## თენგო წულაძე



უშენოდ მოვიდა შენი დაბადების დღე, 11 დეკემბერი, ჩვენო მონატრებულო შვილო თენგო. 37 წლის გახდებოდი, შვილო. ჩვენ, შენს უბედურ დედ-მამას, რაღა დაგვრჩენია, მოვალთ შენს საფლავთან, აგინთებთ სანთლებს და ღმერთს შევევედრებით, სიმშვიდე მიანიჭოს შენს სპეტაკ სულს.

*დედ-მამა*

## ამირან (ხატულო) ლომთათიძის მონატრება



2 წელი გავიდა მონატრებით, სინანულით. ხატუ, 5 დეკემბერი შენი გარდაცვალების დღეა. ძალიან გვიჭირს უშენობა. ღმერთს ვთხოვთ, ნათელში მიმყოფოს შენი და გიგას სუფთა სულები.

*შენი ოჯახი*

## თამაზ ახალაძის გახსენება



შვილო თამაზ, დაბადების დღეს გილოცავ ზეციურ სასუფეველში. მიჭირს შენი წარსულში მოხსენიება. ძალიან მაკლიხარ. იძინე მშვიდად შენს მეუღლესთან ერთად.

*დედა*



ეთერ ლომთათიძე, თემურ, მარინა, ციცინო ლორიები, ბენო თავბერიძე ოჯახებით იუწყებიან უაღრესად მშრომელი, სტუმართმოყვარე, პურმარილიანი, კარგი მეუღლის, მამისა და ბაბუის

**ავთანდილ (ათია) შოთას ძე გუდავაძის**

გარდაცვალებას.



ვალოდი სიხარულიძე ოჯახით თანაუგრძნობს ალიოშა დოლიძის ოჯახს

**სიმონას**

გარდაცვალების გამო.

მურად მაისურაძე ოჯახით იუწყება

**სიმონ დოლიძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს, დედმამიშვილებს და ახლობლებს.



გელა ლომინეიშვილი ოჯახით იუწყება

**სიმონ დოლიძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს მშობლებს, დედმამიშვილებს, ახლობლებს.



რობიკო აბდულაშვილი ოჯახით თანაუგრძნობს გულნაზ, კაკო სიხარულიძეებს ძმისა და ცოლისძმის

**სიმონას**

გარდაცვალების გამო.



გია რამიშვილი ოჯახით თანაუგრძნობს გულნაზ და კაკო სიხარულიძეების ოჯახს ძმისა და ცოლისძმის

**სიმონას**

გარდაცვალების გამო.

## მაია დუმბაძის გახსენება



10 დეკემბერი, ვაი, რა უცებ გავიდა, შვილო, ტკივილით, დარდით და მოლოდინით ერთი წელი. მოურჩენელმა სენმა ზეცაში აიყვანა შენი ლამაზი და მართალი სული. რჩეულთა ხვედრია ადრე გარდაცვალება და მჯერა, სამოთხეში ნათელ ადგილს მიგიჩენდა უფალი. უფალს ებარებოდე, შვილო. მე, უბედური დედა, მაინც ამაყი ვარ, რომ ასეთი კარგი შვილი მყავდი. ნათელში იყავი, შვილო, შენს მარადიულ სასუფეველში.

*შენი დედა, მამა, ძმა ოჯახით*

## მაიკო დუმბაძე



ამ ქვეყნად მონატრებაზე ძნელი და სიკვდილზე შემზარავი არაფერია. მიჭირს 10 დეკემბრის მოსვლა, რომელიც მეხის გავარდნა იყო ჩვენი ოჯახისთვის. ერთი წელი სრულდება შენი გარდაცვალებიდან, ჩვენო მოკლე სიცოცხლის ტკბილ-მწარე მოგონებავ. დაგვიტოვე ცრემლი, ტკივილი და დარდით განადგურებული გული. ჩვენო დაკარგულო იმედო და მოურჩენელო ტკივილო, ჩვენო ანგელოზო რძალო. ნათელი და სანთელი არ მოჰკლებოდეს შენს სულს.

*დიდი მონატრებით, შენი ოჯახი*



თამარ ყაჭეიშვილი, მანანა და ნინო მაისურაძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ ედიშერ, ალიკა, ლელა ყაჭეიშვილებს მამის

**გიგა ყაჭეიშვილის**

გარდაცვალების გამო.



სააღმზრდელო დაწესებულება "მომავალის" თანამშრომლები დიდი გულისტკივილით თანაუგრძნობენ გულნაზ და კაკო სიხარულიძეებს ძმისა და ცოლისძმის

**სიმონა დოლიძის**

გარდაცვალების გამო.



დათო ბერაძის ოჯახი დიდი მწუხარებით იუწყება კეთილშობილი ადამიანის

**სიმონა დოლიძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს, ახლობლებს.



ნოდარ ძნელაძე ოჯახით, დიდი გულისტკივილით იუწყება

**ფაცია ახალაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს შვილებს და შვილიშვილებს.



დეიდაშვილები მარინა, მალხაზ, გოჩა ბარამიძეები, რძალი ლალი სიხარულიძე, სიძე სოსო ინდუაშვილი იუწყებიან დეიდაშვილის

**სიმონა ალიოშას ძე დოლიძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## ვალერიან მგელაძისა და ლექსო გიორგაძის მოგონება

2 წლის წინ, 10 დეკემბერს მეხი დაგვეცა, ვალერი, ბიცოლა ოჯახს, სანათესაოს, სამეზობლოს, სამეგობროს ავ-კარგის ფორმულა იყავი, იუმორით სავსე, დიდთან _ დიდი, პატარასთან _ პატარა. 11 დეკემბერს კი ლექსო გაუყვა შენს გზას, ჩემი უბედური დის პირველი სიხარული. ცხოვრება გრძელდება, ვალერის სიცოცხლეს ელენიკო და ნიკოლოზი, მისი დისშვილები აგრძელებენ, ლექსოს კი _ მისი ნინი და თაზუკა გიორგაძეები. ჩემი ალიკას და ირაკლის მოუშუშებელო ტკივილო, ლოცვის მეტი რაღა დამრჩენია.

*გულდაწყვეტილი ბიცოლა და დეიდა მზია ტყეშელიაძე*

## ჩემო მაიკო



ტკივილით სავსე ერთი წელი გავიდა, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ. ძნელია უშენობა. მენატრება შენი მომღიმარი სახე, შენთან საუბარი. ვერ დაგივიწყებ. შენ მუდამ დიდი ტკივილი იქნები ჩემს გულში.

*ირინა*



გურამ შათირიშვილი, ამირან, რეზო, ანზორ სიხარულიძეები, ვასიკო, ხატულო ყაჭეიშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეზობლის

**გიგა ყაჭეიშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს, ახლობლებს.

ნოდარ უჯმაჯურიძე, გია სიხარულიძე ოჯახებით იუწყებიან

**სიმონ დოლიძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მშობლებს და დედმამიშვილებს ოჯახებით.

ნანული მუხაშავრია იუწყება მეგობრის

**გიგა ყაჭეიშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს.



გიული, მაგული დოლიძეები ოჯახებით, ღრმა მწუხარებით იუწყებიან საყვარელი ბიძაშვილის

**სიმონ დოლიძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მშობლებს, დედმამიშვილებს.



რომან ჯინჭარაძე ოჯახით, დიდი გულისტკივილით იუწყება უახლოესი მეზობლის, შესანიშნავი ქალბატონის

**ეკატერინე მამალაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს შვილებსა და შვილიშვილებს და უახლოეს ნათესავებს.



თამაზ სიხარულიძე ოჯახით, გულისტკივილით იუწყება უახლოესი მეზობლის

**გიგა ყაჭეიშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს, ახლობლებს.



გოდერძი, თემურ, ზაზა სიხარულიძეები, ილო ვადაჭკორია ოჯახებით თანაუგრძნობენ თამარა, დათო კუტუბიძეებს დის და დეიდის, ქალბატონი

**თინას**

გარდაცვალების გამო.

## მერაბ ბარამიძის მოგონება



უმძიმესი 40 დღე გავიდა, რაც ამქვეყნიური ცხოვრება დატოვე და მარადისობასი გადასახლდი. წახვედი ნაადრევად 52 წლის. დრო მკურნალიაო, _ იტყვიან, არა. ძალიან გვენატრები, გვაკლიხარ, შენს სახელს დავიწყება არ უწერია. როგორ ებრძოდი ავადმყოფობას და სიკვდილს, მაგრამ მაინც დამარცხდი და სამუდამო სასუფეველში დაიდე ბინა შენს მამასთან ერთად. დაგვიტოვე სევდა, ტკივილი, დარდი, მონატრება. ვერ ვიჯერებთ, რომ აღარ დაბრუნდები. დააკლდი დედას, მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს, ახლობლებს. ალალ-მართალი სახელით წახვედი ჩემო ძვირფასო მერაბ წუთისოფლიდან. ჩვენმა ანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადისობასი.

*ოჯახი*

## ნარგიზ კობიძის გახსენება



მეორედ მოვიდა უშენოდ 14 დეკემბერი. 2013 წლის სუსხიან დილას გამოეთხოვე სიცოცხლეს. უსაშველოდ მტკივნეულია უშენობა, ჩემო ნარგო. რა ვქნა, მწუხარებას ვერ მოვერიე. მტკივა უშენობა, სულ მეტირება. უფლის ნებით, ღვთის რჩეულთა შორის, სასუფეველში დამკვიდრდება თქვენი სულები, ჩემო დებო. განისვენეთ იქ, სადაც მართალნი განისვენებენ. მე კი მუდამ აგინთებთ სანთლებს და ვილოცებ თქვენთვის ცრემლიანი მონატრებით.

*თქვენი ვალიდა*



ბიჭიკო, ირაკლი კუჭავები იუწყებიან ქალბატონი

**ეთერ კუტალაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახს.



სასპორტო სკოლა და სპორტის განვითარების ცენტრი თანაუგრძნობს გულნაზ, მაგული დოლიძეებს ძმისა და ბიძაშვილის გარდაცვალების გამო.



კოზმა დოლიძე ოჯახით იუწყება ბიძაშვილის

**სიმონ დოლიძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მშობლებს, დედმამიშვილებს, ახლობლებს.

ჭიჭინო ჩანტლაძე ოჯახით თანაუგრძნობს გულნაზ დოლიძეს ძმის

**სიმონის**

გარდაცვალების გამო.



თენგო გუდავაძის ოჯახი მწუხარებით იუწყება

**ეთერ კუტალაძის**

გარდაცვალებას და უსამძიმრებს ოჯახს.



ხათუნა, თენგიზ ცინცაძეები ოჯახით იუწყებიან

**სიმონა დოლიძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ დოლიძეების დიდ ოჯახს.

ჯონი ბერძენიშვილი ოჯახით თანაუგრძნობას უცხადებს კოტე ცინცაძისა და რეზო ჯიქიას ოჯახებს

**ფაცია ბერძენიშვილის**

გარდაცვალების გამო.

## მაია დუმბაძე



10 დეკემბერს ერთი წელი გახდება, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ, ჩემო მაიკო. ძნელია უშენობით გამოწვეული ტკივილის ატანა, ჩემო კეთილო, თბილო, სიცოცხლეს მოწყურებულო რძალო მაიკო. დრო ვერასდროს განკურნავს უშენობით გამოწვეულ ტკივილს, რომელიც ძალიან გვიჭირს ყველას. შენი თბილი, კეთილი სახელი არასდროს მიეცემა დავიწყებას. ღმერთმა ნათელში მიმყოფოს შენი სპეტაკი სული.

*შენი ლია*



ბუკისციხის საბავშვო ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ გულნაზ, თაიგული დოლიძეებს ძმის

**სიმონის**

გარდაცვალების გამო.



ნათია, მზია, ავთო კიკვაძეები ოჯახით იუწყებიან

**სიმონ დოლიძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახს, დედმამიშვილებს და ახლობლებს.



გულიკო, ამირან ჟღენტები ოჯახით იუწყებიან

**სიმონ დოლიძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახს, დედმამიშვილებს, ახლობლებს.



ამირან სიხარულიძე ოჯახით თანაუგრძნობს გულნაზ და კაკო სიხარულიძეებს ძმისა და ცოლისძმის

**სიმონ დოლიძის**

გარდაცვალების გამო.

ლამზირა ჟღენტი თანაუგრძნობს გულნაზს და კაკოს

**სიმონის**

გარდაცვალების გამო.

ოთარ ცინცაძის ოჯახი იუწყება

**ეთერ კუტალაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.



ყოფილი დაბის საკრებულოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ გულნაზ, მაგული დოლიძეებს ძმისა და ბიძაშვილის

**სიმონის**

გარდაცვალების გამო.



გივი გოგუაძე ოჯახით იუწყება

**სიმონ დოლიძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს მშობლებს, დედმამიშვილებს, ახლობლებს.



იანეულის საბავშვო ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ გულნაზ, თაიგული დოლიძეებს ძმის

**სიმონას**

გარდაცვალების გამო.

გაიოზ, ვაჟა, თემურ სიხარულიძეები ოჯახებით იუწყებიან უახლოესი მეზობლის იმედიანი ქალბატონის

**ფაცია ბერძენიშვილის**

გარდაცვალებას და უსამძიმრებენ შვილებს, მათ ოჯახებს.

# ჩემპიონთა ლიგა – ბოლო ტურის წინ: "მწვანე მგლები" VS "წითელი ეშმაკები"

**პლეი ოფში 9 გუნდი ისე გავიდა, ჯგუფური ეტაპის ბოლო ტური მათთვის მხოლოდ ფორმალობაა ან თითქმის ფორმალობა (ზოგიერთი ჯგუფში პირველობისთვის იბრძვის, რასაც პლეი ოფის კენჭისყრაში მნიშვნელობა აქვს), დანარჩენი 7 რჩეული კი დღეს-ხვალ გაირკვევა.**



**ვის რა აწყობს**

მაშ ასე, როგორი ვითარებაა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურის წინ? ლიგის პლეი ოფის საგზური უკვე მოპოვებული აქვთ შემდეგ გუნდებს (9): "რეალი", "პარი სენ-ჟერმენი", "ატლეტიკო", ბენფიკა", "იუვენტუსი", "მანჩესტერ სიტი", "ბარსელონა", "ბაიერნი" და "ზენიტი". გასვლა შეუძლიათ ამ კლუბებს: "ვოლფსბურგი", "მანჩესტერ იუნაიტედი", პსვ, "რომა", "ლევერკუზენი", ბატე, "ოლიმპიაკოსი", "არსენალი", "პორტუ", "ჩელსი", კიევის "დინამო", "გენტი" და "ვალენსია". როგორც ხედავთ, დარჩენილ 7 საგზურზე პრეტენზიას 13 გუნდი აცხადებს. ახლა დღეს გასამართავი მატჩების ჯგუფებში შექმნილი ვითარება განვიხილოთ:

**A ჯგუფი:** აქ ყველაფერი გარკვეულია _ მადრიდის "რეალმა" ჯგუფი მოიგო, "პარი სენ-ჟერმენმა" მეორე ადგილი გაინაღდა. ეს ორი კლუბი უკვე შორსმიმავალ გეგმებს სახავს. გასარკვევია, რომელი გადავა ევროპალიგაზე. "შახტარს" უკეთესი შანსი აქვს, რადგან "მალმიოს" ურთიერთშეხვედრებში სჯობს.

**B ჯგუფი:** წინა ჯგუფისგან განსხვავებით, აქ ყველაზე ჩახლართული ვითარებაა. "ვოლფსბურგს" "მანჩესტერთან" ფრეც ჰყოფნის საგზურის მოსაპოვებლად, გამარჯვება კი ჯგუფში პირველ ადგილს მოუტანს. "იუნაიტედი" გავა იმ შემთხვევაში, თუ ამ მატჩს მოიგებს, თანაც, გავა პირველი ადგილით. პსვ შემდეგ ეტაპზეა, თუ გაიმარჯვებს ცსკა-სთან დაპირისპირებაში. ფრის შემთხვევაში ჰოლანდიელები გავლენ, თუ "მანჩესტერი" წააგებს თავის მატჩს. ამ შემთხვევაში ორივეს თანაბარი ქულები უგროვდება, ურთიერთშეხვედრებში კი ჰოლანდიელები სჯობნიან "წითელ ეშმაკებს".

თუ პსვ მოიგებს და მეორე მატჩი ფრედ დასრულდება, პირველი ადგილის ბედს გოლთა თანაფარდობა გაარკვევს, რადგან ურთიერთშეხვედრებში მათ შორის თანაფარდობაა. გამარჯვების შემთხვევაში ცსკა წავა ევროპალიგაზე და პსვ გავარდება.

**C ჯგუფი:** "ბენფიკა" და "ატლეტიკო" გასულები არიან. აქ გასარკვევია პირველი ადგილის ბედი. თუ პორტუგალიელები მოიგებენ ან მატჩი ფრედ მორჩება, "ბენფიკა" ჯგუფს მოიგებს, "ატლეტიკოს" გამარჯვების შემთხვევაში პირველი სწორედ დიეგო სიმეონეს კრებული იქნება. "ასტანამ" უნდა მოიგოს სტამბოლში, რომ ევროპალიგაზე გავიდეს და თუ ასე მოხდა, ყაზახურ ფეხბურთში ახალი ისტორია დაიწყება.

**D ჯგუფი:** "მანჩესტერ სიტი" და "იუვენტუსი" გასულები არიან, პირველი ადგილის ფავორიტი იტალიური გრანდია _ მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიგებს "სიტი" ჯგუფს, თუ ის იმარჯვებს და "იუვე" "სევილიასთან" წააგებს. მესამე ადგილისთვის ურთიერთშეხვედრებში "სევილიას" აქვს უპირატესობა გერმანულ გუნდთან და არის შანსი, რომ ევროპალიგის გამარჯვებულმა ტიტულის დაცვის უფლება მიიღოს.

**დღის თამაში**

D ჯგუფი სიკვდილის ჯგუფად მოვნათლეთ, მაგრამ მთავარ კითხვას იქ უკვე გაეცა პასუხი _ ბრძოლას აუცილებლად "სიტი" და "იუვენტუსი" გააგრძელებენ. ამიტომაც "სევილიასა" და "იუვენტუსის" დაპირისპირებას ცენტრალურად ველარ მივიჩნევთ. თუმცა, რა თქმა უნდა, ფერნანდო ლორენტეს თამაში ყოფილი გუნდის წინააღმდეგ ევროპული მედიის ყურადღების ცენტრშია. *"ეს შეხვედრა ჩემთვის განსაკუთრებულია და ემოციური. "იუვე" ჩემი ყოფილი გუნდია, სადაც ფანტასტიკური დრო გავატარე. ტურინი ლამაზი ქალაქია, "იუვე" _ საოცარი გუნდი, მაგრამ ევროპალიგის საგზური გვჭირდება",* _ განაცხადა "სევილიას" ბასკმა ფორვარდმა.

მაშ ასე, დღის მატჩი იმ ჯგუფიდანაა, სადაც არაფერია გადაწყვეტილი და ყველაფერი შეიძლება მოხდეს - "ვოლფსბურგი", რომელსაც ახლახან შეუწყვიტეს 29-მატჩიანი წაუგებელი სერია შინ, ისტორიული შანსის გამოყენებას აპირებს. გერმანიაში "მანჩესტერ იუნაიტედი" ჩავიდა. უკვე მოგახსენეთ ჯგუფში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. ინგლისურ გრანდს მოგება ჰაერივით სჭირდება. მართალია, ლუი ვან გაალის გუნდს 11-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს, მაგრამ ამ 11 თამაშიდან მხოლოდ 4 იყო გამარჯვება (დანარჩენი ფრე). ფრე კი "მანჩესტერისთვის" ეს შეიძლება დამღუპველი გამოდგეს. "მგლები" აქამდე არასოდეს გასულან ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში, თუმცა ეს მათთვის ისედაც მხოლოდ მეორე ცდაა. ვან გაალს ბევრი ტრავმირებული ჰყავს, მათ შორის, ყველაზე თვალშისაცემი გუნდის შეტევის ლიდერის, უეინ რუნის არყოფნაა.

**დიტერ ჰეკინგი (ვოლფსბურგი):** *"არ არის საჭირო "იუნაიტედზე" ვიფიქროთ, მთელი კონცენტრაცია ჩვენს თამაშზე უნდა მოვახდინოთ. პირადად მე არავითარ ზეწოლას არ ვგრძნობ. მხოლოდ მომავალ მატჩზე ვფიქრობ. ვიცი, რომ ჩემი გუნდი ყველაფერს გააკეთებს ისტორიული მიღწევისთვის _ ჩვენთვის პლეი ოფში გასვლა დიდი მოვლენა იქნება. იმედი გვაქვს, რომ ფანები ამაში დაგვეხმარებიან, ჩვენი მხრიდან კი პირობას ვდებთ, რომ არ მოვაწყენთ _ ფრეზე არ ვფიქრობთ, მოგება გვინდა. ყველა დეტალს ვაქცევთ ყურადღებას, "მანჩესტერ იუნაიტედს" კი ვურჩევთ, სიფრთხილით მოგვეკიდონ".*

**ლუი ვან გაალი (მანჩესტერი):** *"ფეხბურთის მთავარი ასპექტი გოლების გატანაა. დედამიწის ზურგზე არც ერთი მწვრთნელი არ უნდა იყოს კმაყოფილი, თუ მის გუნდს გოლი აქვს გასატანი. გუნდის დღევანდელი მდგომარეობით, ძირითადად, კმაყოფილი ვარ. ამ მომენტისთვის ამაზე მნიშვნელოვანი თამაში ჩვენ არ გვაქვს. ფეხბურთელებს ძალიან სურთ ლიგაზე თამაშის გაგრძელება, ამისთვის კი თავი უმაღლეს დონეზე უნდა წარმოაჩინონ. რომ გააგრძელო ბრძოლა, უნდა დაამტკიცო, როგორც მწვრთნელმა, როგორც ფეხბურთელმა და როგორც გუნდმა, რომ ამის ღირსი ხარ. არ გვინდა პსვ-ს თამაშის შედეგზე ვიყოთ დამოკიდებულნი. შანსებს აუცილებლად შევქმნით და იმედია, გოლებსაც გავიტანთ. მე ვგრძნობ, რომ ყველაფერი ასეც იქნება".*

ბოლო მატჩში "ვოლფსბურგი" შინ "დორტმუნდთან" 1:2 დამარცხდა, არადა, როდრიგესის პენალტით "მგლებმა" 91-ე წუთზე გაქვითეს მარკო როისის გოლი, მაგრამ მსაჯის მიერ კომპენსირებულ მე-3 წუთზე იაპონელმა შინჯი კაგავამ "ვოლფსბურგს" საოცარი სერია შეუწყვიტა. "მანჩესტერ იუნაიტედმა" ვერ შეძლო შინ "ვესტ ჰემის" გატეხვა _ 0:0. ვან გაალი აქამდე ხუთჯერ დაპირისპირებია "ვოლფსბურგს" ("ბაიერნით" და "იუნაიტედით") და ჯერაც წაუგებელია _ ოთხი მოგება და ერთიც ფრე.

*sportall.ge*

# ჩემპიონთა ლიგა. VI ტური: "იუნაიტედი" გავარდა, რონალდომ რეკორდი მოხსნა

8 დეკემბერს ჩემპიონთა ლიგის 2015/16 წლების სეზონის გათამაშების ჯგუფური ეტაპის ნახევარი დასრულდა.

მთელი ყურადღება B ჯგუფისკენ იყო მიქცეული, რადგან დანარჩენ სამში პლეი ოფში მოთამაშე გუნდების ვინაობა ცნობილი იყო. უკვე გასულ 9 გუნდს კიდევ ორი შეემატა: "ვოლფსბურგი" და პსვ. A ჯგუფი

ამ ჯგუფში, თითქმის, ყველაფერი გარკვეული იყო. უკვე ცხადი იყო, რომ მადრიდის "რეალი" პირველი ადგილით გადიოდა, ხოლო პსჟ - მეორეადგილოსნის სტატუსით. ერთადერთი ევროპალიგის პლეი ოფის ბედი წყდებოდა _ "შახტარი" თუ "მალმიო".

ინტრიგა ჯგუფს კრიშტიანო რონალდომ შესძინა, რომელმაც "მალმიოს" კარში პოკერი შეასრულა, რასაც ქარიმ ბენზემას ჰეთ თრიკი დაამატა, ერთი გოლიც კოვაჩიჩისაა _ 8:0. კრიშტიანომ ჯგუფური ეტაპი 11 გოლით დაასრულა, ეს კი ახალი რეკორდია, წინა რეკორდიც თავად მას ეკუთვნოდა _ 9 გოლი.

პსჟ-შახტარი 2:0

გოლები: 1:0 მოურა (57), 2:0 იბრაჰიმოვიჩი (86)

პსჟ (4-3-3): ტრაპი - ვან დერ ვილი, მარკინიოსი, დავიდ ლუისი, კურზავა - რაბიოტი, სტამბული, მატუიდი (68. დი მარია) - მოურა (87. ნკუნკუ), ლავეცი (69. კავანი), იბრაჰიმოვიჩი



შახტარი (4-2-3-1): კანიბოლოცკი - სრნა, კუჩერი, რაკიცკი, ისმაილი - სტეპანენკო, ფრედი - მარლოსი (74. კოვალენკო), ტეიშეირა, ტაისონი (69. ბერნარდი) - და სილვა (78. დენტინიო)

გაფრთხილება: ლავეცი - სრნა, რაკიცკი, ისმაილი

კუთხური: 7-5; ჯარიმა: 10-9; თამაშგარე: 4-3; კარში დარტყმა: 17-10 (5-4); ბურთის ფლობა: 55%-45%

მაყურებელი: 48 000

*sportall.ge*

## მილოცვები

ყველაზე საყვარელ, თბილ, სანთო დედას, ბებიას, დეიდას, მამიდას _ კეთილშობილ ქალბატონს

**ნანი ჯაყელს**

ვულოცავთ 70 წლის იუბილეს!

გისურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს და სიყვარულს ისეთივე დოზით, როგორითაც შენგან ვიღებთ შენი ახლობლები! გვიყვარხარ და გვეიმედები!

*საუკეთესო სურვილებით შენები*

**ვარლამ ანთიძეს!**



ოჯახის საყრდენო ძალავ, გილოცავთ 60 წლის იუბილეს. მრავალს დაესწარი შენი ოჯახის შემადგენლობით. ღმერთი გფარავდეს.

*შენი ოჯახი*

ქალბატონ

**ნანი ჯაყელს**

და ბატონ

**ვარლამ ანთიძეს!**

გილოცავთ იუბილეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს და ბედნიერ დღეთა სიმრავლეს თქვენს საყვარელ ადამიანებთან ერთად.

*პატივისცემით, "ნიუსელები"*

ჩვენს მეგობარს

**თემურ ჩხიკვიშვილს!**

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს, სიყვარულს, ღვთის წყალობას და უამრავ წარმატებას.

*სიყვარულით, "ნიუსელები"*

# ცინცაძის "გრავლინი" "სტრასბურთან" დამარცხდა

საქართველოს ეროვნული ნაკრების გამთამაშებელ გიორგი ცინცაძის გუნდს საფრანგეთის ჩემპიონატში გალიდერების შანსი ჰქონდა, თუმცა მორიგი ტურის შეხვედრა ევროლიგის მონაწილე "სტრასბურთან" სტუმრად წააგო და მეორე ადგილზე დარჩა.

ცინცაძის "გრავლინს" სტრასბურელებთან შანსი არ ჰქონია და საბოლოოდ 19 ქულით _ 66:85 წააგო.

ქართველი უკანახაზელი სათადარიგო იყო და მოედანზე მხოლოდ 4 წუთით გამოჩნდა. ამ სიმბოლურ დროში გიორგიმ მხოლოდ ერთხელ შეუტია სტრასბურელთა ფარს, თუმცა მიზანში ვერ გაარტყა. გრავლინელებს, ტრადიციულად, მარკუს დავმა (17 ქულა) და ენდრიუ ანბისმა (15) ულიდერეს.

8 მოგებით და 3 წაგებით "გრავლინი" მეორე ადგილს "მონაკოსთან" ერთად იყოფს. მომდევნო ტურში, 14 დეკემბერს, ცინცაძის გუნდი "პო ორტეზს" უმასპინძლებს.

*sportall.ge*

## ამინდის პროგნოზი გურიაში




ანდრია ყაველაშვილი
4 წლის




ელენე დვალიშვილი,
10 წლის




გუგა ყაველაშვილი
3 წლის




ელენე დვალიშვილი,
10 წლის

## ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| USD | 2.3852 |
| EUR | 2.5437 |
| GBP | 3.6129 |
| RUB | 0.6301 |



გურიის ახალგაზრდული გაზეთი

№ 40

10 დეკემბერი, 2015 წელი

# ახალგაზრდული საკრებულო ლიდერი ახალგაზრდების გამოსავლენად

სოფო წილოსანი



ლანჩხუთში, ახალგაზრდულმა საკრებულომ, რომელიც მე-10, მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეებითაა დაკომპლექტებული, პროექტის ფარგლებში "ახალგაზრდული საკრებულო 64 მუნიციპალიტეტში", პირველი სხდომა ჩაატარა.

პირველ სხდომაზე ახალგაზრდებმა ფარული კენჭისყრით საკრებულოს თავმჯდომარე და მისი მოადგილე აირჩიეს. ხმათა უმრავლესობით ახალგაზრდულ საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელობა მე-2 საჯარო სკოლის მე-11 კლასელ თამთა ბზეკალავას დაეკისრა, ხოლო მოადგილედ ჩოჩხათის საჯარო სკოლის მე-10 კლასელი თამარ სივსივაძე აირჩიეს.

უახლოეს სხდომაზე კი კომისიების თავმჯდომარეების არჩევა იგეგმება.

შეხვედრაზე ახალგაზრდული საკრებულოს შესახებ და მის მნიშვნელობაზე ისაუბრა პროექტის ხელმძღვანელმა გიორგი ჭულუხაძემ, რომლის თქმითაც, პროექტის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია ქვეყნის მასშტაბით ლიდერი ახალგაზრდების გამოვლენა და მათ თვითრეალიზებაში ხელის შეწყობაა.

გამგეობის განათლებისა და კულტურის განყოფილების უფროსმა ქეთი ებრალიძემ ახლადარჩეულ თავმჯდომარესა და მის მოადგილე წარმატებები უსურვა შემდგომ საქმიანობაში და ახალგაზრდებს ადგილობრივ თვითმმართველობასთან აქტიური თანამშრომლობისკენ მოუწოდა.

# ლილიანა ლომინეიშვილმა საერთაშორისო კონკურსზე I ადგილი აიღო

ლილე კაპანაძე



ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის აღსაზრდელმა, 14 წლის ლილიანა ლომინეიშვილმა საერთაშორისო კონკურსზე «Riga Symphony 2015» პირველი ადგილი დაიკავა.

კონკურსში 37 ქვეყნის წარმომადგენელი 450 ახალგაზრდა მონაწილეობდა.

ლომინეიშვილმა კონკურსზე ორი სიმღერა შეასრულა _ "განთიადი" და "მივალ გურიაში მარა".

ლილიანას შესრულებით აღფრთოვანებულმა ჟიურის წევრებმა, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანას წარმოადგენდნენ, ჩოხატაურელი მომღერალი სხვადასხვა კონკურსებში მიიწვიეს.

*_ რამდენიმე საერთაშორისო კონკურსის მოსაწვევი გადმომცეს _ მიწვევენ ესპანეთში, ფინეთში, ქემელში.*

*ძალიან კმაყოფილი და ბედნიერი ვარ,* _ აღნიშნა ჩვენს ახალგაზრდულ გაზეთთან საუბრისას ლილიანა ლომინეიშვილმა.

მისივე თქმით, რიგაში გასამგზავრებლი თანხები ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა გაიღო.

# საქველმოქმედო კონცერტი ბავშვების დასახმარებლად

***(21-ს ქვევით)*** _ 4 დეკემბერს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის სახლში, ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით საპროდიუსერო კომპანია "ჯადოსნური ხმებისა» და ინტერნეტ-ტელევიზია "ვარსკვლავების" და შონი TV-ს ორგანიზებით საქველმოქმედო კონცერტი გაიმართა, რომელიც მძიმე სენით და ლეიკემიით დაავადებული ბავშვების დასახმარებლად იყო გამიზნული.. კონცერტში, რომელმაც ლანჩხუთელი მაყურებლის აღფრთოვანება გამოიწვია, ქართული ესტრადის ცნობილი ვარსკვლავები მონაწილეობდნენ.



მათ შორის, ნუგზარ ერგემლიძე, ნუგზარ კვაშალი, ბესო კალანდაძე, ბიძინა მახარაძე, ზურა დოიჯაშვილი, თემურ წიკლაური.

# ოზურგეთში შშმ პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღე აღინიშნა

მსოფლიოში განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა უფლებების დაცვის დღესთან დაკავშირებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დარჩიამ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შშმ პირებს სამედიცინო ეტლები პირადად გადასცეს. სპეციალურად ამ დღისთვის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სარეაბილიტაციო ცენტრში ცენტრის ბენეფიციარების მონაწილეობით ღონისძიება გაიმართა. კონცერტს გურიის გუბერნატორის მოადგილე ქეთევან მოისწრაფეშვილი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე, საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია და ქალაქ ოზურგეთის მერი, ბეგლარ სიორიძე ესწრებოდნენ. ბენეფიციარებს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა საჩუქრები გადასცეს და მათთან ერთად საახალწლო ნაძვის ხის აწყობაში მიიღეს მონაწილეობა.









# ოზურგეთის პირველი გერბი და მისი შექმნის ისტორია

დავით მეგრელიშვილი

ქალაქ ოზურგეთის პირველი გერბი, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში, რუსეთის იმპერიის ეპოქაში შეიქმნა. 1840 წელს რუსეთის იმპერიამ საქართველოს ტერიტორიაზე ადმინისტრაციული რეფორმა განახორციელა და საქართველო-იმერეთის გუბერნია ჩამოაყალიბა. როგორც "Полное собрание законов Российской империи "-ის ("Второе собрание 1825-1881") ელექტრონული არქივიდან ირკვევა,1842 წლის დეკემბერში, იმპერატორმა ნიკოლოზმა საქართველო-იმერეთის გუბერნიის გერბების შემუშავების შესახებ ბრძანება გამოსცა. ამ ბრძანების შედეგად, რუსეთის სენატმა 1843 წელს საქართველო-იმერეთის გუბერნიის და მასში შემავალი 11 ქალაქის გერბი დაამტკიცა. გერბის შექმნამდე, საიმპერატორო ხელისუფლების ბრძანებით, ოზურგეთს ქალაქის სტატუსი მიენიჭა და 1843 წლის 21 მაისს ოზურგეთის პირველი გერბიც დამტკიცდა. გუბერნიის დანარჩენი ქალაქების გერბების მსგავსად, ოზურგეთის გერბიც საქართველო-იმერეთის გუბერნიის გერბს ემყარებოდა, რომელიც, თავის მხრივ, სომხეთის ოლქის 1833 წელს შექმნილი გერბის მსგავსად შეიქმნა.

ოზურგეთის პირველი გერბის დახასიათება და განმარტება, საბედნიეროდ, ჩვენთვის ცნობილია. გერმანული წარმოშობის ცნობილმა ჰერალდისტმა პაველ ვინკლერმა, 1900 წელს გამოსცა ნაშრომი "რუსეთის იმპერიის ქალაქების, გუბერნიების, ოლქების და დასახლებების გერბები", სადაც სხვებთან ერთად ოზურგეთის გერბის დახასიათებაც დაგვიტოვა. ვინკლერის ნაშრომის თანახმად, ოზურგეთის გერბს ფრანგული ფარის ფორმა ჰქონდა და სამ ნაწილად იყოფოდა. ზედა ნახევარი ორი ნაწილიგან შედგებოდა და საქართველო-იმერეთის გუბერნიის გერბს იმეორებდა. მარცხენა ნაწილში, ოქროსფერ მინდორზე არარატის მთაზე შეჩერებული ნოეს კიდობანი, მარჯვენა ნაწილში კი შავი ზღვა იყო გამოსახული. გერბის ზედა მხარეს, საერთო გერბისთვის ასევე დამახასიათებელი წმინდა გიორგის გამოსახულებაც გვხვდებოდა. ოზურგეთის გერბის ქვედა მხარე ერთი ნაწილისგან შედგებოდა. მასზე ვერცხლისფერ მინდორზე გამოსახული იყო გუთანი, ზეთისხილის რტო, ვაზის რტო და ნაყოფი. ეს ყველაფერი აქაური ბუნების განსაკუთრებული მცენარეული სიმდიდრის სიმბოლიზებას ახდენდა.

ოზურგეთის გერბზე საქართველო-იმერეთის გუბერნიის გერბისთვის დამახასიათებელი ორთავიანი რუსული





არწივი გამოსახული არ გახლდათ. ოზურგეთის პირველ გერბს შემდგომი სახეცვლილება აღარ განუცდია და მან საქართველოს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნამდე იარსება.

# მოკლე და ბრძნული იგავები

### უფსკრულზე გადებული ხე, ხიდის ნაცვლად

ერთმა ადამიანმა ჰკითხა მთიელს:

_ რატომ არის, რომ შენ ასე თავისუფლად დადიხარ ხის ღეროზე, მაშინ, როდესაც მე იგივე გზის გავლისას შიშისგან ვკანკალებ?

_ როდესაც მე მივდივარ ამ ხეზე, მეორე მხარეს, მე წყლისთვის მივდივარ, რომელიც ჩემს ოჯახს სჭირდება, რომ წყურვილისგან არ დაიხოცნენ, ხოლო როდესაც იქიდან ვბრუნდები, მე ისე მინდა საკუთარი ოჯახის ნახვა, რომ უფსკრულზე, საერთოდ არ ვფიქრობ.

_ ჰო, მაგრამ, მე რა უნდა ვუყო ჩემს შიშს? როგორ გავიარო უფსკრულზე შიშის გარეშე?

_ მხოლოდ ძლიერი სურვილი და უკიდურესი საჭიროება დაგავიწყებს, რომ უფსკრულის თავზე მიდიხარ.

### მტრედი და აფრიკა

ერთ ქალს ძალიან უყვარდა პარკში მტრედების გამოკვება. ყოველდღე, დილით ის იქ მიდიოდა და თან მიჰქონდა ერთი, ჯერ კიდევ თბილი ბატონი და მთელ პურს მტრედებს აჭმევდა, ყრიდა რა პურის ნამცეცებს თავის ირგვლივ.

ასე გრძელდებოდა საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე. ქალის ასეთი საქციელი ერთმა "შეგნებულმა" მოქალაქემ დააფიქსირა და ერთხელ, როდესაც ქალი ისევ მივიდა პარკში და მტრედებს პური დაუყარა, მივიდა ქალთან და უთხრა:

_ თქვენ აქ ამ საზიზღარ მტრედებს აჭმევთ პურს, ამ დროს კი, აფრიკაში ადამიანები შიმშილობენ!

ქალმა კი უპასუხა:

_ აფრიკამდე ბატონს ნამდვილად ვერ გადავისვრი! იმათ ვეხმარები, ვისზეც ხელი და ფინანსური მდგომარეობა მიმიწვდება.

### ტურისტი და ბრძენი

ერთი ამერიკელი ტურისტი ეწვია ცნობილ ბრძენს. ტურისტს ძალიან გაუკვირდა, როდესაც აღმოაჩინა, რომ ბრძენი მხოლოდ ერთოთახიან სახლში ცხოვრობდა, რომელშიც მხოლოდ ბუხარი, მაგიდა და სკამი იყო. დანარჩენი ადგილი კი წიგნებს ეკავა.

_ რაბი, სად არის თქვენი ავეჯი? _ გაიკვირვა ამერიკელმა.

_ შენი სად არის? _ ჰკითხა ბრძენმა.

_ ჩემი? მე ხომ აქ გავლით ვარ. მე ტურისტი ვარ.

_ მეც. _ უპასუხა ბრძენმა.

### გურუს კატა

ყოველთვის, როდესაც გურუ და მისი მოსწავლეები სალოცავად იკრიბებოდნენ, აშრამში კატა შედიოდა და მათ ყურადღებას უფანტავდა. მაშინ გურუმ მოსწავლეებს უბრძანა, რომ ლოცვის დროს, კატა დაებათ. გურუ გარდაიცვალა, მაგრამ კატას ლოცვის დროს, მაინც აბამდნენ. როდესაც კატაც მოკვდა, აშრამში სხვა კატა მიიყვანეს, რომ ზედმიწევნით შეესრულებინათ გურუს მიერ ღმერთთან ურთიერთობის დროს შემოღებული წესები. გავიდა საუკუნეები. ამ სწავლების მიმდევარმა მეცნიერებმა დაწერეს სამეცნიერო შრომა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ კატის დაბმას ღვთისმსახურების დროს, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

# ვერელი ყარაჩოხელი სცენაზე

გიორგი გაჩეჩილაძე

ქართველებს მრავალი შესანიშნავი ხელოვანი გვყავდა. სამწუხაროდ, ამჟამინდელ თაობას წარსულის თანამემამულე მსახიობებზე, მწერლებსა და რეჟისორებზე ნაკლები ინფორმაციები გააჩნია. დღევანდელ წერილ-მოგონებაში დაახლოებით ორი საუკუნით უკან მინდა, დავბრუნდე და ახლადჩამოყალიბებულ ქართულ თეატრთან დაკავშირებული საინტერესო ისტორიები მოგითხროთ.

მე-19 საუკუნის 60-იანი წლების ჩვენი საზოგადო მოღვაწე და მწერალი კირილე ლორთქიფანიძე დიდად უწყობდა ხელს ქუთაისის თეატრის მუშაობას და ერთ დროს სუფლიორის საპატიო თანამდებობაც ეჭირა.

ერთხელ იმერეთის დედაქალაქში საგასტროლოდ ვასო აბაშიძე ჩამოვიდა. თამაშობდნენ ვალერიან გუნიას პიესას. წარმოდგენას აუარებელი ხალხი დაესწრო. აიხადა ფარდა და სცენაზე ვასო აბაშიძე გამოჩნდა. იქუხა აპლოდისმენტებმა. საზოგადოებამ მსახიობს ოვაციები გაუმართა.

კირილე ლორთქიფანიძე ამ დროს სამალავში იჯდა და ყველაფერ ამას თითქოს გულცივად შეჰყურებდა. ის იყო ხმაური მიწყდა და ვასოს როლი უნდა დაეწყო, რომ კირილემ გამოჰყო თავი სამალავიდან და ტაში დასცხო. მას დაავიწყდა რომ სუფლიორი იყო. მაყურებელმა ეს შეამჩნია. შეიქმნა სიცილ-ხარხარი და ტაშის გრიალი. ახლა კი მიხვდა კირილე, რა უხერხულ მდგომარეობაში ჩაიგდო თავი.

თუ კირილე ლორთქიფანიძეს ერთხელ გაწითლება მოუწია, უფრო უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა კოტე ყიფიანი, როდესაც დიდ სცენაზე დებიუტი ჰქონდა.

1865 წლის ზაფხულის მიწურულს გაიმართა ერთ-ერთი საქველმოქმედო სპექტაკლი. თამაშობდნენ მოლიერის პიესას "ძალით ცოლის შერთვევინება". ვინაიდან იმ დროს ქალის სცენაზე გამოსვლა თავის მოჭრად ითვლებოდა, დორიმენას როლს ვასილ მაჩაიძე ასრულებდა, ხოლო პაჟს _ კოტე ყიფიანი.

ეპოქის მოდის თანახმად, დორიმენას მეტად გრძელშლეიფიანი კაბა ეცვა და ამ შლეიფის ტარება ახალბედა მსახიობ კოტეს ევალებოდა. სცენაზე რომ გამოვიდნენ, ყიფიანი მაყურებლის დანახვამ ისე დააბნია, შლეიფჩაჭიდებული იდგა, ვიდრე დორიმენას კაბაზე ქინძისთავებით მიბლანდული შლეიფი ხელში შერჩა. ასეთმა მოულოდნელმა სიურპრიზმა დარბაზში ხარხარი და ტაში გამოიწვია. მხოლოდ მაშინ მოვიდა გონს გარინდებული კოტე და კულისებისაკენ მოკურცხლა.

ალექსანდრე ყაზბეგი რამდენადაც ჩინებული მწერალი იყო, იმდენად უხეირო მსახიობი. სამწუხაროდ, ამისი დაჯერება არასოდეს სურდა და სხვადასხვა წარმოდგენაშიც ხშირად მონაწილეობდა. სასაცილო მდგომარეობაშიც არაერთხელ ჩავარდნილა.

ერთხელ სცენაზე ვასო აბაშიძე და ალექსანდრე ყაზბეგი ერთად თამაშობდნენ "მეფე ლირში". უკანასკნელ მოქმედებაში ისინი ხმალში იწვევენ ერთმანეთს. ყაზბეგს თვალთ აკლდა, მაგრამ ხმალს მარჯვედ უქნევდა ვასოს. პიესის მიხედვით, ვასოს უნდა მოეკლა იგი. ასეც მოიქცა. განგმირა მოწინააღმდეგე და გამარჯვებული გავიდა სცენიდან. სანდროს კი ეგონა, პარტნიორი კვლავ განაგრძობდა ბრძოლას და ჰაერში ხმალს ატრიალებდა. კულისებიდან უყვიროდნენ: "მოკვდი, სანდრო, მოკვდი!" ყაზბეგმა, როგორც იქნა გაიგონა ეს, შეჩერდა და ხვნეშით საზოგადოებისკენ მიიხედა:

_ მაშ, უნდა მოვკვდე?

_ ჰო, სანდრო, უნდა მოკვდე! _ უკარნახა სუფლიორმაც.

_ რა გაეწყობა, მოვკვდები! _ თქვა ყაზბეგმა, ხმალი გადააგდო და მოჭრილ ალვის ხესავით წაიქცა.

იმდროინდელ წარმოდგენებს ხშირად უცნაური სტუმრებიც ესწრებოდნენ. 1892 წელს, ვერაზე კვიჟინიძის სახლში დადგეს "რაც გინახავს, ველარ ნახავ". არტემ ივანიჩის როლს ასრულებდა ერთ-ერთი ყარაჩოხელი. ეს ამბავი გაეგოთ ვერელ ყარაჩოხელებს და არღნით მიადგნენ ამხანაგს. კარის შეღებისთანავე სცენისაკენ გაეშურნენ. რეჟისორს გული გაუსკდა:

_ აქ სად მოდიხართ?! გააჩუმეთ ეგ არღანი, გააჩუმეთ!

_ რად უნდა გავაჩუმოთ? _ მიუგეს მათ, _ ჩვენ შენთან არც მოვსულვართ, ჩვენი ძმაბიჭის სადღეგრძელო გვინდა დავლიოთ.

მათ სცენაზე ასვლისთანავე სველი ხელადა მოიმარჯვეს და ლოთიფოთურად ძმაბიჭის სადღეგრძელო დალიეს.

კვლავ ვასო აბაშიძეს დავუბრუნდეთ. 1902 წელს ვასო აბაშიძის სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილე მოეწყო. მთელი საქართველო ილებდა ამ სახალხო დღესასწაულში მონაწილეობას. საიუბილეო კომიტეტის გადაწყვეტილებით, იუბილარი თეატრში საგანგებო ლანდოთი უნდა მოეყვანათ. თეატრიდან დაიძრა ვასოს ბინისაკენ ლანდო. ხალხი იუბილარს მოელოდა. ლანდო ცარიელი დაბრუნდა. ვასო აბაშიძე უკანა კარიდან გასულა, მიყრუებული ქუჩებით მივიდა თეატრში და ხალხის შეუმჩნევლად სცენაზე აღმოჩნდა. საიუბილეო წევრების საყვედურზე ვასომ ღიმილით უპასუხა:

_ ქაჯან, თუ ჩემს იუბილეს მართავთ, მე აქ გახლავართ და თუ ცხენების და ლანდოს იუბილეს დღესასწაულობთ, მაშინ მე რა შუაში ვარ?



წერილის დასასრულს კი კიდევ ერთ ძველ სახალისო მოგონებას შემოგთავაზებთ, რომელსაც დღეს მომრავლებული სპონსორობის ინსტიტუტის პირობებში აქტუალურობა ნამდვილად არ დაუკარგავს.

ეს ამბავი მოხდა წინა საუკუნის დასაწყისში. ოქტომბრის რევოლუციამდე, საქველმოქმედო მიზნით, ჩვენში ხშირად იმართებოდა წარმოდგენები, სალიტერატურო საღამოები, კონცერტები. ასეთი წარმოდგენა-საღამოების მომწყობად იწვევდნენ გავლენიანსა და დიდი თანამდებობის პირთ, ან მათ ცოლებს. ზოგი სახელის მოსახვეჭად, ზოგიც თავისი სიამოვნებისათვის შემოიკრებდა ხოლმე გარშემო მეგობრებს, ნათესავებს და საქმეს მიჰყოფდა ხელს.

ერთხელ, რომელიღაც კულტურული საზოგადოების სასარგებლოდ, თბილისის თეატრში მოეწყო საღამო-წარმოდგენა საკონცერტო განყოფილებითა და აპოთეოზით. საღამოს გამგედ მოწვეული იყო იმხანად ცნობილი გენერალი ჭილაშვილი. საკონცერტო განყოფილებას ხელმძღვანელობდა მომღერალი სანდრო კავსაძე.

თეატრში ყოველ საღამოს იმართებოდა რეპეტიციები. ჭილაშვილი, როგორც წესი, რეპეტიციებს ესწრებოდა და მონაწილეებს ამხნევებდა.

ბოლოს და ბოლოს მოახლოვდა საღამოს მოწყობის დროც. დაინიშნა გენერალური რეპეტიცია, მოვიდნენ საღამოს მომწყობნი, მოვიდა გენერალი ჭილაშვილიც. იგი პირველად სანდრო კავსაძეს შეხვდა და ჰკითხა:

_ როგორ არის, სანდრო, საქმე, გუნდი მზად არის?

_ ყველაფერი მზადაა, მაგრამ უბედურება ის გახლავთ, სცენას რეზონანსი არა აქვს, _ მოწყენით მიუგო სანდრომ.

_ კი მაგრამ, რა დაჯდება ეგ ოხერი რეზონანსი რომ შევიძინოთ? _ აღელვებით გააწყვეტინა სიტყვა გენერალმა.

სანდრო კავსაძე არ დაიბნა, ალღო აუღო მის უმეცრებას და უპასუხა:

_ ხუთ თუმნამდე დაჯდება, თქვენო აღმატებულებავ.

_ მაშ, აი, შენ ხუთი თუმანი და უეჭველად შეიძინე, მაგით საქმეს ნუ გააფუჭებ,

_ უთხრა გენერალმა. სანდრომ ეშმაკურად გაიღიმა და ფული ჩამოართვა.

იმ ღამეს, რეპეტიციის შემდეგ, იმ ფულით გუნდმა ერთი ლაზათიანად იქეიფა.

# TOP სამი მეთოდი ახალ წელს ბარაქის მოსაზიდად

ნებისმიერ ჩვენგანს გააჩნია გარკვეული მოლოდინი და სიმბოლური იმედი იმისა, რომ ახალი წლიდან ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება და რომ ყველა სახის პრობლემა და დარდი, ძველ წელთან ერთად გაჰყვება წარსულს. თუმცა, საიმისოდ, რომ ჩვენს ცხოვრებაში სიმშვიდემ და ჭეშმარიტად სტაბილურმა სიტუაციამ დაისადგუროს, აუცილებელია, პირველ რიგში, საკუთარი, შინაგანი სამყარო დავალაგოთ «გენერალურად». ბევრი ვაპატიოთ, სიკეთე ვაკეთოთ, ნაკლებად განვიკითხოთ სხვები და ანგარებით არასოდეს ჩავიდინოთ კარგი საქციელი. სამყარო ზუსტად იმის ანარეკლია, რაც ვართ ჩვენ შინაგანად. ეს კარგად უნდა გვახსოვდეს. თუმცა, საიმისოდ, რომ ახალ წელს ხვავი და ბარაქა მოეზიდათ ოჯახში სხვადასხვა ხალხში არსებობდა უძველესი და ნაცადი ტრადიციები. დღეს ჩვენ მათ შორის სამ, ყველაზე აპრობირებულ ტრადიციას შემოგთავაზებთ.

ნაძვის ხე ტკბილეულით მორთეთ _ ძალიან ბევრ ქვეყანაში სწამდათ და დღემდე სწამთ, რომ ნაძვის ხის მორთვა სათამაშოებთან ერთად კანფეტებით, სამომავლოდ უპრობლემო წელიწადს ჰპირდება ოჯახს. ახალი წლის შემდეგ ეს კანფეტები აუცილებლად უნდა დაურიგოთ ბავშვებს, ხოლო ერთი მათგანი თავად ნაძვის ხის მომრთველმა და ამწყობმა უნდა მიირთვას. ეს მის ცხოვრებაში წარმატების და ბედნიერების საწინდარია.

ოთახის მცენარეებს ქოთანში ცოტაოდენი ბრინჯი ჩაუმატეთ. თუკი მცენარე წლის მანძილზე ბევრჯერ გამოიღებს ყვავილს ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენს სახლს დამდეგ წელიწადს ხვავი და ბარაქა არ მოაკლდება.



ახალ წლამდე ერთი კვირით ადრე შეიძინეთ ახალი ცოცხი, დადეთ იგი სახლის რომელიმე კუთხეში ტარით ზემოთ და რაიმე, მკვეთრი ტონალობის ბაფთით მორთეთ. ფერის შერჩევა იმის მიხედვით შეგიძლიათ, თუ კონკრეტულად რა სახის სურვილი გაქვთ დამდეგი ახალი წლისთვის. ასე, მაგალითად, თუკი ლურჯ ბაფთას გამოაბამთ ცოცხს ახალ სამსახურს მიიღებთ, წითელი თქვენთან ფულს და ბარაქას მოიტანს, თეთრი _ ვალების დაბრუნებას დააჩქარებს. თებერვალში ბაფთა ფრთხილად მოხსენით ცოცხს და გამოსაჩენ ადგილას შეინახეთ მთელი წლის მანძილზე. შეგიძლიათ იგი სამზარეულოს ატრიბუტად (მაგ. ჩაის ტილოდ) გამოიყენოთ.

www.esotericblog.ru

# როგორ მოვრთოთ სახლი მაიმუნის წელთან შესახვედრად

გამომდინარე იქედან, რომ დამდეგი წელი ცეცხლოვანი და წითელი მაიმუნის წელია, სასურველია, ინტერიერში ბევრი წითლის და ალისფერის ელფერი ჩართოთ. ამასთან ერთად, გაითვალისწინეთ ისიც, რომ მაიმუნს სიმკვეთრე და სიბრჭყვიალე ხიბლავს, შესაბამისად, სახლი უხვად მორთეთ ბრჭყვიალა ან მკვეთრი ელემენტებით.

ნაძვის ხე, სასურველია, წითლისა და მუქი მწვანის სინთეზში გადაწყვეტილი სათამაშოებით მორთოთ. ეს წლევანდელი წლის უმთავრესი და ტენდენციური ფერებია. ბინის სხვადასხვა კუთხეში უხვად განათავსეთ ხილი და თხილეულის ნაირსახეობა. მაიმუნს ხომ




ზემოხსენებული პროდუქტები უყვარს. შესანიშნავი იქნება, თუკი ჭერზე, საახალწლო წვიმისგან დამზადებულ მწვანე გირლანდებს ჩამოკიდებთ, როგორც ასტროლოგები თვლიან, ასე მაიმუნის წელს თქვენს ოჯახში შემობრძანება არ გაუჭირდება და თავს «შინაურულად» იგრძნობს.

# როგორი სამოსით უნდა შევხვდეთ დამდეგ მაიმუნის წელს

გიხაროდეთ, ე.წ. Color Blocking სტილის სამოსის მოყვარულებო, მაიმუნის წლის შესახვედრად მკვეთრი, ხასხასა ფერებია რეკომენდებული ასტროლოგების მიერ. მაიმუნს ყველაფერში სიმკვეთრე უყვარს. ამიტომ 2016 წლის უახლეს მოდურ ტენდენციებზეც იქონიებს გავლენას წლის მმართველი. ალბათ, დააკვირდით იმას, რომ ცხვრის წელმა მოდაში ბეწვიანი და «გაბურძგნული» ფაქტურის მქონე სამოსი შემოიტანა. მაიმუნი კი თავის მხრივ 2016 წელს მკვეთრი, ხასხასა ფერების სიმრავლით აავსებს.

ალისფერი, სტაფილოსფერი, მზისფერი ყვითელი, ინტენსიური ზურმუხტისფერი, ხასხასა მწვანე, აი, საახალწლო პალიტრა თქვენი იდეალური გარდერობის დასაგეგმად. ამასთან ერთად, მასალა და ფაქტურა მკაცრად განსაზღვრული არ გახლავთ, მაიმუნი ყველაფერში სპონტანურობის, ექსპერიმენტებისა და კრეატივის მომხრეა. აი, რაც შეეხება აქსესუარებს, მათი შერჩევისას დიდი დაკვირვება გმართებთ.



თუკი თხის წელში მოდური იყო ხის ან თიხისგან (ბუნებრივი მასალის) დამზადებული სამკაულები, მაიმუნის წელს მეტალის ან ბრჭყვიალა ელემენტებით გაწყობილი აქსესუარებით უნდა შეხვდეთ. ძვირფასი ქვებიდან კარგია ალმასის, ლალის, ოპალის ტარება. სასურველია ვარცხნილობასაც თუ მკვეთრი დეტალებით ან ბრჭყვიალა თმის სამაგრებით გაამდიდრებთ. შესანიშნავი დაგვირგვინება იქნება თქვენი საახალწლო იმიჯისთვის მხარზე მოგდებული ხელოვნური ან ნატურალური ბეწვი, რომელიც საახალწლო იმიჯს მდიდრულ და ლამაზ ელფერს შესძენს.

astrologia.ge




### ვერძი

შესაძლოა, მიიღოთ ისეთი დავალება, რომელიც თქვენში ნეგატიურ გრძნობას გამოიწვევს. ასევე არ არის გამორიცხული, იმისთვის, რომ ეს არასასიამოვნო დავალება არ შეასრულოთ, სამუშაო ადგილის შეცვლა მოისურვოთ. ასევე, შესაძლოა, გააკეთოთ ყველაფერი, რათა პასუხისმგებლობას გაექცეთ. ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობის მდგომარეობას _ რისკის ქვეშ ნერვული სისტემაა.

### კურო

ამ კვირაში მოგეცემათ შანსი, მიიღოთ ის, რისი მიღების შანსიც წარსულში გაუშვით. ვითარება თქვენთვის საუკეთესო გზით შეიქმნება, თუმცა, იმისთვის, რომ დასახულ მიზანს მიაღწიოთ, თქვენგან ძალისხმევა და სითამამე იქნება საჭირო. ასევე, დიდია ფინანსური კეთილდღეობის მიღების ალბათობა.

### ტყუპები

სამშაბათს შეძლებთ დიდი ხნის წინ ჩაფიქრებული სურვილის რეალიზებას. ხორცს შეასხამთ პროექტს, რომლის თითოეული დეტალი განხილული გაქვთ. მთავარია, არ შეგეშინდეთ წინსვლის. ასევე, შესაძლოა, შეიქმნას ისეთი ვითარება, რაც თქვენი მომავლის უკეთ დაგეგმვაში დაგეხმარებათ.

### კირჩხიბი

ამ დღეებში ბევრი რამ იქნება დამოკიდებული თქვენს ფსიქოლოგიურ განწყობასა და თქვენ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. თუ თქვენ დეპრესიას არ დაუხრით თავს და კარგად გაანალიზებთ თქვენ მიერ გადადგმული ნაბიჯების შედეგებს, მაშინ ეს კვირა თქვენთვის ძალიან წარმატებული იქნება.

### ლომი

მიმდინარე კვირას შესაძლოა ისეთ ადამიანთან ურთიერთობა მოგიწიოთ, ვისაც არ გააჩნია არავითარი მორალური პრინციპები. ეს ადამიანი შეეცდება თქვენი ყურადღება მიაპყროს თქვენთვის არც თუ ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც ფინანსურ კრახამდე მიგიყვანთ, ამიტომ ეცადეთ, მიმდინარე კვირას განსაკუთრებით წინდახედულად მოიქცეთ.

### ქალწული

დიდია შანსი, დაიწყოთ პერსპექტიული ურთიერთობა კარიერული წინსვლის თვალსაზრისით. დიდია ალბათობა იმისა, რომ მიმდინარე კვირას გაგაცნობენ ადამიანს, რომლის დახმარებითაც დიდი ხნის გეგმების რეალიზებას შეძლებთ.

### სასწორი

შაბათს შესაძლოა, მოგიწიოთ ურთიერთობა ისეთ ადამიანთან, ვისი წარმოუდგენელი ენერგიაც ხშირად ამყოფებს უხერხულ მდგომარეობაში გარშემომყოფებს. ეცადეთ, უარი თქვათ მის შემოთავაზებებზე და არ მიიღოთ მონაწილეობა მის მიერ დაგეგმილ პროექტებში.

### მორიელი

საკუთარ შეცდომებზე მოგიწევთ პასუხის გაცემა. მოგიწევთ ახსნა-განმარტების ჩაბარება თქვენს ახლობელთან. თქვენი თხოვნა მოსალოდნელია უპასუხოდ დარჩეს. ამ დღეებში არ ელოდოთ მეგობრების დახმარებას, შეიძლება უცხო პიროვნების დახმარება ძალიან წაგადგეთ.

### მშვილდოსანი

მიმდინარე კვირას, დიდი ალბათობაა, ნეგატიური მოვლენა მოხდეს, რაც არჩევანის გაკეთებას გაიძულებთ, ან მოგიწევთ გარკვეულ გარემოებებზე უარის თქმა. შესაძლოა, ამ მომენტისათვის თავი ძალიან ცუდად იგრძნოთ, მაგრამ სამომავლოდ მიხვდებით, რომ წარსულში მოხმდარი ეს ფაქტი დადებითად აისახა თქვენს არსებობაზე.

### თხის რქა

ამ დღეებში საკმაოდ მნიშვნელოვანი მიღწევა გექნებათ. რაც თქვენს პიროვნულ ზრდასა და კარიერულ წინსვლას განსაკუთრებით შეუწყობს ხელს. ამიტომ მაქსიმალური ყურადღება მიაქციეთ თითოეულ დეტალს და იყავით განსაკუთრებით დაკვირვებულნი.

### მერწყული

თუ დაგეგმილი გაქვთ ექიმთან მისვლა, არ გადადოთ მომავლისათვის. მიიღებთ ნამდვილ დიაგნოზს და ადვილად გაართმევთ თავს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ფულთან ურთიერთობაში წარმატება ორშაბათიდან დაიწყება. იგი მხოლოდ თქვენზე არ არის დამოკიდებული.

### თევზები

ეცადეთ მოახდინოთ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება. თქვენს რჩევა-დარიგებას გარშემომყოფები გაიზიარებენ. ლიდერის თვალით შეხედავთ ყველაფერს. შესაძლოა, თქვენი გეგმების შესრულებაზე უარის თქმა მოგინდეთ, მაგრამ სჯობს, ასე არ მოიქცეთ.

იკითხეთ!!!

# ცოტა რამ ბარსელონას შესახებ

გიორგი მდინარაძე

*დასაწყისი წინა ნომერში*

2015 წლის 6 ივნისს კატალონიურმა კლუბმა ბერლინში, ოლიმპიურ სტადიონზე, ტურინის "იუვენტუსი" დაამარცხა, ანგარიშით 3:1 (რაკიტიჩის, სუარესისა და ნეიმარის გოლები), და თავის ისტორიაში მეხუთედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონთა თასი. ორივე გუნდისთვის ეს იყო ჩემპიონთა ლიგის მერვე ფინალი; ამ კლუბთა მეშვიდე შეხვედრა ევროთასებზე და პირველი _ ევროთასის ფინალში. აგრეთვე ბარსელონა გახდა მეექვსე კლუბი, რომელმაც თასის სამუდამოდ დატოვების უფლება მოიპოვა. ეს ფინალი გახდა ესპანელთა ერთ-ერთი ვეტერანის, ჩავის, უკანასკნელი მატჩი "ბარსას" მაისურით, რის შემდეგაც მან კარიერა ყატარის "ასსადში" გააგრძელა. ამ გათამაშების შედეგების მიხედვით ლიონელ მესი, კრიშტიანუ რონალდუსთან ერთად, გახდა ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირი. მიმდინარე სეზონის სამი ძირითადი ტიტულის მოგებით "ბარსელონა" ფეხბურთის ისტორიაში პირველი კლუბი გახდა, რომელმაც "ტრებლი" ორჯერ გაიფორმა.

### კამპ ნოუ

საფეხბურთო კლუბ "ბარსელონას" სტადიონს ეწოდება "კამპ ნოუ". სტადიონის ოფიციალური გახსნა შედგა 1957 წლის 24 სექტემბერს. 1957 წელს გახსნის მომენტიდან სტადიონი ეკუთვნოდა კატალონიურ საფეხბურთო კლუბს და თავდაპირველად ეწოდებოდა საფეხბურთო კლუბ "ბარსელონას" სტადიონი, თუმცა მაშინაც კი მას უწოდებდნენ "კამპ ნოუს". თავისი ამჟამინდელი სახელწოდება ოფიციალურად სტადიონმა მიიღო 2000 წელს. "კამპ ნოუ" ყველაზე ტევადი სტადიონია არამარტო ესპანეთში, არამედ მთელ ევროპაშიც: ის იტევს 99 453 მაყურებელს.

"კამპ ნოუ" ერთ-ერთია იმ მცირე ევროპული სტადიონებიდან, რომლებსაც უეფა ხუთი ვარსკვლავით აფასებს.

სტადიონის ტერიტორიაზე მდებარეობს "ბარსელონას" თანამშრომლების ოფიციალური ცენტრი, ხელმძღვანელობის ოფისი და საფეხბურთო კლუბის მუზეუმი, რომელიც კატალონიაში ყველაზე ხშირად წვევადი მუზეუმია. გარდა ამისა "კამპ ნოუ" წარმოადგენს მთავარ ნაწილს კომპლექსისა, რომელშიც ასევე შედის "მინი-ესტადი" _ ოციათასიანი სტადიონი, რომელზეც ვარჯიშობენ კლუბის სპორტული სკოლის გუნდები; "ლა მასია" _ შენობა, სადაც ცხოვრობენ კლუბის ყველაზე ახალგაზრდა აღზრდილები; და "პალაუ ბლაუგრანა" _ 8 000 მაყურებელზე გათვლილი კორპუსი, სადაც გამოდიან კლუბის კალათბურთის, ჰენდბოლის, ჰოკეისა და მინი-ფეხბურთის გუნდები.

2007 წლის სექტემბერში კლუბმა მიიღო პროექტი სტადიონის რესტრუქტურიზაციის შესახებ, რაც დაკავშირებული იყო მისი გახსნის დღიდან 50 წლის იუბილესთან. გაკეთდა საერთაშორისო კონკურსი, რომლის დროსაც არქიტექტორებმა მთელი მსოფლიოდან წარმოადგინეს საკუთარი პროექტები. ჟიურის შემადგენლობაში შევიდნენ კლუბის წარმომადგენლები, სახელმწიფო ადმინისტრაციისა და კატალონიელი არქიტექტორების ასოციაციის წევრები. 2007 წლის 18 სექტემბერს გამოვლინდა გამარჯვებული _ იგი გახდა ინგლისური ფირმა "ფოსტერსი და პარტნიორები", რომელიც ცნობილი იყო ახალი სტადიონის, "უემბლის" აგებით, ასევე მიიოს ვიადუკის, კოლსეროლის კოშკებისა და ნიო-იორკშიახალი სავაჭრო ცენტრის მშენებლობებით. პროექტის მოდელი პირველად საზოგადოებას წარუდგინეს "ბარსელონასა" და "სევილიას" შორის მატჩის დაწყების წინ, რომელიც გაიმართა 2007 წლის 22 სექტემბერს. თავდაპირველი ბიუჯეტი შეადგენდა 250 მილიონ ევროს.

### ემბლემა

ემბლემას აქვს "კარდალის" (პატარა ქვაბის) ფორმა, რომელიც დაყოფილია სამ ნაწილად. ზემოთა ორ ნაწილში გამოსახულია ქალაქ ბარსელონას დროშა (ანუ წმინდა გიორგის ჯვარი და კატალონიის დროშა). ქვედა ნაწილში მდებარეობს ტყავის ბურთი კლუბის ფერების _ ლურჯ-ბროწეულისფერი ზოლების ფონზე. ფარის ცენტრში ოქროსფერ ზოლზე, რომელიც გერბის ზემოთა და ქვემოთა ნაწილებს გამოყოფს, გამოყვანილია კლუბის ინიციალები.

კლუბის მთელი ისტორიის განმავლობაში არსებობდა კლუბის გერბის რამდენიმე ვარიანტი, თუმცა ფაქტობრივად ყოველთვის ერთნაირი დიზაინით _ ძირითადად საქმე ეხებოდა კოსმეტიკურ ცვლილებებს. ამგვარად, დღიდან შექმნისა კლუბი იყენებდა ქალაქ ბარსელონას გერბს, რითაც ხაზს უსვამდა მჭიდრო კავშირს მშობლიურ ქალაქთან და მხოლოდ 1910 წელს ხელმძღვანელობამ დააყენა საკუთარი გერბის შექმნის საკითხი. ჩატარდა კონკურსი, რომელშიც გაიმარჯვა კარლეს კომამალამ. ფრანსისკო ფრანკოს მმართველობის პერიოდში აბრევიატურა FCB" შეიცვალა "CFB-ზე" (Club de Futbol Barcelona) ოთხი წითელი ვერტიკალური ხაზი ემბლემის ზედა მარჯვენა ნაწილში სახელმწიფოს შეკვეთით შეიცვალა ორზე, რათა იგი არ დამსგავსებოდა კატალონიის დროშას.

1949 წელს დროშა ისევ გამოჩნდა კლუბის ემბლემაზე, რაც დაკავშირებული იყო მის 50 წლის იუბილესთან, ხოლო 1974 წელს დაბრუნდა კლუბის სახელწოდების ინგლისური ვარიანტი, შესაბამისად აბრევიატურაც ძველი გახდა.

კლუბის ემბლემამ თანამედროვე სახე მიიღო 2002 წელს დიზაინერ სერახიმ კლარის დამსახურებით. გერბის მოყვანილობამ უფრო გლუვი ფორმები მიიღო _ დაბლა სამკაპის ნაცვლად დარჩა ერთი პირი, იგივე მოხდა გვერდებზეც. ასევე წაიშალა წერტილები, რომლებიც აცალკევებდა კლუბის ინიციალებს და შეიცვალა თვითონ აბრევიატურის დაწერის ტიპი.

კლუბის ფორმის მწარმოებელია კომპანია "Nike", რომელთანაც ხელი მოეწერა კონტრაქტს, რომლის თანახმადაც კომპანია კლუბს ტანსაცმლით უზრუნველყოფდა 1998 წლიდან 2014 წლამდე. უფრო ადრე კლუბის სპონსორები იყო "Meyba" (1982-1992 წლები) და "Kappa" (1992-1998 წლები). კლუბის ტიტულების პირველი სპონსორი გახდა კომპანია "UNICEF". 2011-2012 წლების სეზონიდან მაისურზე ასევე იწერება სპონსორი "Qatar Foundation". 2012-2013 წლებიდან ტიტულების სპონსორი გახდა ავიაკომპანია "Qatar Airways".

### ბარსელონას ბაბუა

"ბარსელონას" ბაბუა (ესპ. el Abuelo del Barça; კატ. Avi Barça) — პესრონაჟი, რომელიც შექმნა მხატვარმა ვალენტი კასტანსმა და რომელიც წარმოადგენს საფეხბურთო კლუბ "ბარსელონას" სიმბოლოს.

ის ტრადიციულად ჩაცმულია 1960-70-იანი წლების სტილში, ხელში უჭირავს კატალინიური კლუბის დროშა, თავზე კი ბარეტინა ახურავს. ამ პერსონაჟის პატივსაცემად "ლა მასიას" მახლობლად, "კამპ ნოუს" გვერდით, დგას ქანდაკება.

პირველად ეს პერსონაჟი გაჩნდა 1924 წლის 29 ოქტომბერს ჟურნალ "El xut-ის" გვერდებზე.

### გულშემატკივრები

დაჯგუფება "Boixos Nois" შეიქმნა 1981 წელს და დღემდე იგი ითვლება ერთ-ერთ ყველაზე მებრძოლ დაჯგუფებად მთელ ესპანეთში.

თავდაპირველად "ბარსელონას" საშინაო მატჩების დროს "Boixos Nois" გამოიკვეთებოდა მათთვის სპეციალურად გამოყოფილ ტრიბუნაზე "Gol Sud" "კამპ ნოუზე", შემდეგ კი ტრიბუნას სახელი შეეცვალა "Gol Nord-ზე".

მას შემდეგ, რაც ჟოან ლაპორტა გახდა "ბარსელონას" პრეზიდენტი (2003 წელს), "Boixos Nois-ს", როგორც დაჯგუფებას, აეკრძალა "კამპ ნოუზე" გამოჩენა. ამიტომ ფანები იძულებულები არიან მატჩებზე პატარ-პატარა ჯგუფებად მოვიდნენ.

"დაჯგუფების ლოგო წარმოადგენს წრეს, რომელსაც ლურჯ ფონზე გაღიმებული ბულდოგის კბილების კრეჭა ამშვენებს. შიდა წრის მარცხენა მხარეს გამოსახულია კატალონიის დროშა, მარჯვენა მხარეს _ კლუბის ფერები: ლურჯი და ბროწეულისფერი. ლოგოს ზედა ნაწილში გამოსახულია დაჯგუფების სახელწოდება "Boixos Nois", ქვედა ნაწილში კი არის წარწერა "F.C. Barcelona".

### ჰიმნი

"ბარსელონას" ოფიციალურ ჰიმნად ითვლება "ბარსელონას სიმღერა" (კატ. Cant del Barça, ესპ. Canto del Barça), რომელიც დაიწერა 1974 წელს. ტექსტის ავტორები არიან ხოსეპ მარია ესპინასი და ხუმე პიკასი, მუსიკის ავტორი _ მანუელ ვალც-ი-გორინა. პირველად ოფიციალური პრემიერა შედგა სვ. ჟორდის შესრულებით 1974 წლის 27 ნოემბერს, როდესაც აღინიშნებოდა კლუბის არსებობის 75 წლის იუბილე.

კლუბის ჰიმნის ყველაზე პირველი ვერსია პირველად შესრულდა 1923 წლის 18 თებერვალს ძველ სტადიონ "ლეს კორტსზე" გუნდ "ორფეო გრასენცას" მიერ პრეზიდენტ ჟოან გამპერის პატივსაცემად. სიტყვების ავტორი იყო რაფაელ ფოლჩ-ი-კაპდევილია, მუსიკის ავტორი _ ენრიკო მორერა.

ბოლო წლებში გაჩნდა ჰიმნის სხვა ვერსიები ისეთი შემსრულებლების მხრიდან, როგორიც არის სერატ ჟოან მანუელი, რაც დაკავშირებული იყო ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებთან, როგორიც, მაგალითად, არის კლუბის ასი წლის იუბილეს აღნიშვნა. გარდა ამისა, საბჭომ ჟოან ლაპორტას თავმჯდომარეობით დაიწყო სხვადასხვა შემსრულებლებისა და ანსამბლების მოხმობა, რათა მოხდენილიყო ჰიმნის ადაპტაცია სხვადასხვა მუსიკალურ სტილში: პოპი, როკი, რეპი, სამბა, ჰიპ-ჰოპი, სკა, რუმბა.

ტრადიციულად კლუბის ჰიმნი სრულდება მოთამაშეების მოედანზე გამოსვლის დროს, თამაშის დასაწყისისა და დასასრულის წინ ("კამპ ნოუზე") და გუნდის მიერ გამარჯვების მოპოვების შემთხვევაში.

### გუნდური რეკორდები

ყველაზე მსხვილი მოგება ყველა შეჯიბრის მასშტაბით: 18:0 _ "ხიმნასტიკ ტარაგონას" წინააღმდეგ, კატალონიის ჩემპიონატი, 1901წ; ყველაზე მსხვილი წაგება ჩემპიონატში: 12:1 _ ბილბაოს "ატლეტიკის" წინააღმდეგ, 1930/1931 წლების სეზონი.

ერთ სეზონზე გატანილი გოლების ყველაზე დიდი რაოდენობა: 114 გოლი 38 მატჩში _ პრიმერა, 2011/12.

ერთ სეზონზე გაშვებული გოლების ყველაზე მცირე რაოდენობა: 21 გოლი 38 მატჩში _ პრიმერა, 2010/11.

სეზონის განმავლობაში დაგროვებული ქულების ყველაზე დიდი რაოდენობა: 100, პრიმერა, 2012/2013.

ყველაზე გრძელი გამარჯვებების სერია ჩემპიონატში: 16 მატჩი, 2010 წლის 16 ოქტომბრიდან 2011 წლის 4 თებერვლამდე.



### ინდივიდუალური რეკორდები

ოფიციალურ და არაოფოციალურ ტურნიტებზე გატანილი გოლების რაოდენობა: 369 _ პაულინო ალკანტარა;

ოფიციალურ ტურნირებზე გატანილი გოლები: 306 _ ლიონელ მესი 2003 წლიდან დღემდე;

ესპანეთის ჩემპიონატებზე გატანილი გოლები: 190 _ სესარ როდრიგესი, 1942-1955; ესპანეთის თასებზე გატანილი გოლები: 65 _ ხოსეპ სამიტიერი, 1919-1932;

ესპანეთის სუპერთასებზე გატანილი გოლები: 10 _ ლიონელ მესი, 2009-2012; სეზონის განმავლობაში ყველა ჩემპიონატზე გატანილი გოლების რაოდენობა: 73 _ ლიონელ მესი, 2011-2012 (50 გოლი ჩემპიონატში, 3 თასზე, 3 სუპერთასზე, 14 ჩემპიონთა ლიგაზე, 1 უეფა-ს სუპერთასზე, 2 მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე).

ესპანეთის ჩემპიონატზე ერთი სეზონის განმავლობაში გატანილი გოლების რაოდენობა: 50 _ ლიონელ მესი, 2011-12.

ესპანეთის თასზე ერთი სეზონის განმავლობაში გატანილი გოლების რაოდენობა: 12 _ ლადისლავ კუბალა, 1951-52წწ;

უეფა-ს ჩემპიონთა ლიგაზე ერთი სეზონის განმავლობაში გატანილი გოლების რაოდენობა: 14 _ ლიონელ მესი, 2011-12 (03.04.2012-ის მდგომარეობით).

საერთაშორისო ტურნირებზე გატანილი გოლების რაოდენობა: 63 _ ლიონელ მესი; უეფას მატჩებში გატანილი გოლების რაოდენობა: 59 _ ლიონელ მესი; ,უეფა-ს ჩემპიონთა ლიგაზე გატანილი გოლების რაოდენობა: 58 _ ლიონელ მესი; თასების მფლობელთა თასზე გატანილი გოლების რაოდენობა: 10 _ ჰანს კრანკლი, 1978-81.

ფაირ-თასებზე გატანილი გოლების რაოდენობა: 19 _ ხოსე ზალდუა, 1961-71.

ყველაზე გრძელი საგოლე სერია ესპანეთის ჩემპიონატში: 18 გოლი ზედიზედ ათ თამაშში _ მარიანო მარტინი (1942-1943 წლების სეზონის მე-19 ტურიდან 1943-1944 წლების სეზონის მე-2 ტურამდე).

ყველაზე გრძელი საგოლე სერია ოფიციალურ მატჩებში: 21 გოლი ზედიზედ თერთმეტ თამაშში _ მარიანო მარტინი.

ერთ თამაშში გატანილი გოლების რაოდენობა: 9 _ ჟოან გამპერმა სამჯერ: 1901 წელს ორ მატჩში მაკაის თასსა და 1903 წელს ბარსელონის თასზე; |ხოსეპ ესკოლა 1935 წელს სეგუნდა დივიზიონის გუნდ "რეალ უნიონის" წინააღმდეგ მატჩში.

ესპანეთის ჩემპიონატის ერთ მატში გატანილი გოლების ყველაზე დიდი რაოდენობა: 7 _ ლადისლაო კუბალა, ხიხონის "სპორტინგის" წინააღმდეგ მატჩში 1951-52 წლების სეზონზე.

ესპანეთის საფეხბურთო თასის ერთ მატში გატანილი გოლების ყველაზე დიდი რაოდენობა: 7 _ ეულოხიო მარტინესი, მადრიდის "ატლეტიკოს" წინააღმდეგ მატჩში 1956-57 წლებში. უეფა-ს ჩემპიონთა ლიგის ერთ მატჩში გატანილი გოლების რაოდენობა: 5 _ ლიონელ მესი, "ბაიერ 04 ლევერკუზენთან" წინააღმდეგ მატჩში 2011-12 წლებში.

*რეკლამის ფასები: პირველი გვერდი – 700 ლარი; ბოლო ფერადი გვერდი – 350 ლარი;*
*მეორე გვერდი – 200 ლარი; მესამე გვერდი – 300 ლარი.*
*პოლიტიკური რეკლამის ფასი ორმაგია.*
*რეკლამის შეკვეთის მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონზე: (555) 714-011.*
*გურიის ახალგაზრდული გაზეთის მისამართია:* ჩოხატაური, ნოდარ დუმბაძის ქუჩა №25. 373 636 (551) ☎ * ლანჩხუთი, ნოე ჟორდანიას ქ. №128, | სართ. 903- 987 (571) ☎
*ოზურგეთი, ილია ჭავჭავაძის ქუჩა №4, 404-182(599) ☎
E-mail: nato.gogelia@facebook.com
რედაქტორი: ნატო გოგელია